



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბიღ ბუქ-  
უბი სიფყვას, ცუდიუბით და ჭბრბით ბუბ-  
თის გაცანა ყულა უჯარბისბბბაჟ უსბბბაგლსია.



ბაბოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

პარასკევი, 5 აპრილი. 2019 წ. №68 (8734)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თათრი

**სირცხვილია, როცა „ოცნება“ ინტელიგენციის  
მოთხოვნას არ ითვალისწინებს!**



5

## რატომ „ეუინია“


## ხელისუფლებას

## ბრინჯაოში

## ბამოქანდაკებული

## დავით აღმაშენებლის?!

„ნაციონალური  
მოძრაობის“  
უღწევა სამოქალაქო  
სექტორში  
საზოგადოებრივ-  
პოლიტიკურ  
პროცესებზე გავლენის  
გაზრდის მიზნით



6

## როგორ გვიტევენ პრასამეთაპრობოთა კლანი

## ნატოს დამსახურებით, მსოფლიო უფრო მეტად უსაფრთხო და თავისუფალია!


საქართველოს პრეზიდენტი  
სალომე ზურაბიშვილი ნატოს 70  
წლის იუბილეს მიკრობლოგ „ტვი-  
ტერიო“ ეხმიანება.  
„ჩრდილოატლანტიკური ალიან-  
სის დამსახურებით, მსოფლიო უფ-  
რო მეტად უსაფრთხო და თავისუ-  
ფალია. მინდა, მივულოცო ნატოს ეს  
ღირსშესანიშნავი დღე, 70 წელი მისი  
დაფუძნებიდან“, – წერს სალომე ზუ-  
რაბიშვილი. შიბბბსბბბბბბ, რომ  
ვპრინბბბბბბ ნატოს დაბბბბბბ-  
დან 70 წლისბბბბბბ ზაბბბბბბ.



## ნატო არ კვდება – ის ზოგბია, რომლის რეანიმირება პერიოდულად ხდება, თუმცა საბოლოოდ ზოგბების კვდებიან, და ეს საქართველომ უნდა იცოდეს შექლებს თუ არა რუსეთი, შავ ზღვაში ნატოს სამხედრო პასუხი გასცეს?!

გურამ აბრიაშვილი

## მაყურებელს სამუდამოდ ემახსოვრება მისი მზერა...



საზამდე. ამ ახალი სარკინიგზო ხაზი-  
დან საქართველოს ტერიტორიაზე 30-  
კილომეტრიანი ხაზი გაიყვანეს ახალ-  
ქალაქიდან თურქეთის საზღვართან  
მდებარე სოფელ კარცახამდე.

იხ. 4 33



## რკინიგზის 12-წლიანი მშენებლობა და უარყოფილი სახელმწიფო ინტერესები

12-წლიანი მოლოდინის შემდეგ, გა-  
სული თვის ბოლოს თურქეთიდან საქარ-  
თველოში შვეიცარიული „შტადლერის“  
სამგზავრო მატარებელი შემოვიდა, რო-  
მელიც ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტ-  
რალზე იმორბეებს. მატარებელმა რკი-  
ნიგზის ქართული მონაკვეთი სატესტო  
რეჟიმში გაიარა. როგორც გაირკვა, მა-  
გისტრალზე სამგზავრო მარშრუტის  
დანიშვნა წლეულს იგეგმება, თუმცა  
ზუსტი თარიღი ჯერ უცნობია.

პროექტის განხორციელების  
დაწყების ცერემონია ჯერ კიდევ 2007  
წლის 21 ნოემბერს საქართველოს  
ახალქალაქის დაბა მარაბდაში შედ-  
გა და ის იმთავითვე შეფასდა საერთა-  
შორისო ამბიციურ პროექტად. მისი

მიზანი თურქეთისა და აზერბაიჯანის  
სარკინიგზო ხაზების ერთმანეთთან  
საქართველოს გავლით დაკავშირება  
და ამით ცენტრალური აზიიდან სამ-  
ხრეთ კავკასიის გავლით ევროპისკენ  
მიმავალი უფრო იაფი და მოკლე ალ-  
ტერნატიული სატრანსპორტო დე-  
რეფენის შექმნაა. პროექტი ითვალის-  
წინებდა საქართველოში 178 -კილო-  
მეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის  
რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას –  
თბილისიდან მარაბდა-ახალქალაქის  
სადგურამდე; მთლიანობაში 98- კი-  
ლომეტრიანი ახალი სარკინიგზო ხა-  
ზის მშენებლობას საქართველოს  
ახალქალაქის სადგურიდან თურქეთის  
ტერიტორიაზე არსებულ სარკინიგზო



### კიდევ ერთი კარგი, თანამედროვე კლინიკა „ჯეირასი“

დღეს ჩვენ ვხსნით ობიექტს, რომელშიც ინვესტირებულია 40 მილიონ ლარზე მეტი, ეს არის ნათელი დასტური იმისა, რომ ინვესტირება სწამთ საქართველოში ეკონომიკური ზრდის და იმ პოლიტიკის, რომელსაც ხელი-სუფლება ახორციელებს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ კლინიკა „ჯეირასის“ გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ბოლო ორი კვირის განმავლობაში მეორე ასეთი მაღალი სტანდარტის მრავალპროფილიანი კლინიკა იხსნება, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხელისუფლება ჯანდაცვის მიმართულებით სწორ და შედეგებზე ორიენტირებულ პოლიტიკას აწარმოებს. კლინიკა „ჯეირასი“ დაპროექტებულია გამოცდილი ქართველი სპეციალისტებისა და ისრაელიდან მოწვეული ექსპერტების მიერ. შენობა-ნაგებობა აშენებულია 12000 კვ.მ. ფართობზე და დაგეგმარებულია უსაფრთხოების და ეკოლოგიის ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით. კლინიკაში განთავსებულია 10 საოპერაციო, 2 კათეტერიზაციის ლაბორატორია და 208 საწოლი პაციენტებისთვის.

### საქართველოსა და აშშ-ს შორის შესაძლოა, პირდაპირი ფრენები დაიწყოს

რომორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, მუშაობა მიმდინარეობს იმაზე, რომ ამერიკისა და საქართველოს შორის რაც შეიძლება დროულად დაიწყოს ფრენები. „ჩვენ ვცდილობთ, აშშ-სთან განვაფართოოთ ეკონომიკური თანამშრომლობა, გავზარდოთ იგი კიდევ უფრო ღრმად. აშშ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობები არასდროს ყოფილა ასეთ მაღალ დონეზე და ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენს ქვეყნებს შორის დაიწყოს პირდაპირი ავიარეისები, შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს ეკონომიკურ კვლევაზე, რომელიც რამდენიმე კვირაში დასრულდება. ეს დაგვეხმარება ჩვენ, რომ მოვიძიოთ შესაბამისი კომპანია, რომ, რაც შეიძლება დროულად დაიწყოს ფრენები ამერიკისა და საქართველოს შორის. პირდაპირი ავიარეისები დაგვეხმარება, რომ ერთი ორად გავზარდოთ ის ეკონომიკური პოტენციალი, რაც არსებობს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

### 12 მაისი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნილხვდომილობის დღედ დანესდება

რომორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, მთავრობა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ინიციატივას, დაჩქარებული წესით მიიღოს საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც, 12 მაისი საქართველოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნილხვდომილობის დღედ დადგინდება. - მიინდა გაცნობოთ, რომ დღეს მთავრობა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ინიციატივას, რომ დაჩქარებული წესით მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც, 12 მაისი, რომელიც არის წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე, ასევე დადგინდეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს ნილხვდომილობის დღედ. ეს გახლავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინიციატივა, რომელსაც ჩვენ, ბუნებრივია, პატივს ვცემთ და ვიზიარებთ.

დარწმუნებული ვარ, 12 მაისი გახდება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ეროვნული დღესასწაული, - განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

### ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური აპერიკელაბთან ითანამშრომლებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის უფროსის მოადგილეები ვაჟა ფანოზიშვილი და ვახტანგ ფარესიშვილი აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კრიმინალური გამოძიების დეპარტამენტის წარმომადგენელს თენ ლარსონს, საქართველოში აშშ-ის საელჩოს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ატაშეს მოადგილეს საბარტლის დარგში მეთუ ბოიდენს და აშშ-ის საელჩოს სამართლის დარგში ატაშეს ოფისის წარმომადგენელს გიორგი ბერიშვილს შეხვდნენ. შეხვედრაზე საგამომიებო სამსახურის წარმომადგენლებმა ამერიკელ სტუმრებს მიაწოდეს ინფორმაცია სამსახურის უფლებამოსილებისა და უწყების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ. შეხვედრაზე ისაუბრეს ფინანსური და ეკონომიკური დანაშაულების გამოძიების თანამედროვე მეთოდებზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისა და პროფესიული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ფულის გათეთრების, ანტიკორუფციული და საფინანსო-ეკონომიკური სფეროში ჩადენილი დანაშაულების სამართლებრივ ასპექტებზე. ყურადღება გამახვილდა ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში საგამომიებო სამსახურის თანამშრომელთა გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ამერიკელი კოლეგების გამოცდილების გაზიარების საკითხებზე.



### ტერმინები - „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ კანონში დარჩა!

ანტიდისკრიმინაციული კანონიდან ტერმინების - „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ამოღებას პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი არ დაუჭირა. კანონპროექტს მხარი 27-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგი იყო 13, თუმცა კვორუმისთვის 63 დეპუტატის ხმა იყო საჭირო. „საკანონმდებლო სივრცეში აღნიშნული ტერმინების არსებობა ეწინააღმდეგება ჩვენი სამყაროს ძირითადი რელიგიების ფასეულობებს და სწავლებებს. ეს ფსევდო-ლიბერლები წინააღმდეგობაში მოდის როგორც ოჯახის ინსტიტუტთან, ასევე საზოგადოების ზნეობრივი და სულიერ საფუძვლებთან“, - ამბობს ემზარ კვიციანი.

### ლევან იზორიას გუშინ პარლამენტში უსმენლად

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია „მინისტრის საათის“ ფარგლებში გუშინ დეპუტატების წინაშე წარდგა. სიტყვით გამოსვლის შემდეგ დეპუტატებმა მას კითხვები დაუსვეს. უმრავლესობის დეპუტატმა, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ მინისტრს შენიშვნა მისცა იმის გამო, რომ სანგრძობი გამოცდის განმავლობაში სიტყვა რუსეთი საერთოდ არ უხსენებია. თავდაცვის მინისტრმა მას უპასუხა: „ერთ-ერთი დეპუტატისგან ითქვა, რომ მოხსენებაში არ იყო საუბარი რუსეთის საფრთხეზე. რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი კონცეფცია და თავდაცვის ძალების მიმართულია იმისკენ, რომ იყოს ნატოს სტრატეგიებთან თანხვედრაში. ნატოს მთავარი პოლიტიკა არის შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკა და ნატო ამ შემთხვევაში მიმართულია სხვა არაფერზე, თუ არა რუსეთიდან მომდინარე საფ-

რთხეებზე. შესაბამისად, როდესაც ვამბობ, რომ ყველა ჩვენი რეფორმა არის ნატოს შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკასთან თანხვედრაში, რა თქმა უნდა, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს ვგულისხმობ. ყველაფერი, რაც კეთდება ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების თვალსაზრისით, პირველ რიგში, რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების შეკავებას და თავდაცვას გულისხმობს“.

### „დისკრიმინაცია რომ იყოს, ქალს სომ არ გავუშვებდით საპასუხისმგებლო კურსებზე“

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია სამინისტროსადმი მფრინავ ეკატერინე ქვლივიძის ბრალდებას გამოეხმაურა. მინისტრის განცხადებით, ეკატერინე ქვლივიძემ თავდაცვის სამინისტრო ერთი წლის წინ დატოვა, თუმცა ამ დროის განმავლობაში, უწყებისთვის რაიმე სახის დისკრიმინაციასთან დაკავშირებით არ მიუმართავს. „2017 წელს ეს ქალბატონი თავდაცვის ძალების გათვალისწინებით მივლინებულ იქნა კაპიტნის საკარიერო კურსებისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. დისკრიმინაცია რომ იყოს, ქალბატონს სომ არ გავუშვებდით ამ ძალიან საპასუხისმგებლო კურსებზე“ მზად ვარ, პირადად შევხვედეთ ეკატერინე ქვლივიძეს, მოვუსმინო მას და თავადაც მივანოდო ფაქტები, რომლებიც ხელთ გვაქვს“, - ამბობს მინისტრი. ყოფილი მფრინავი ეკატერინე ქვლივიძე აცხადებს, რომ გენდერული დისკრიმინაციის გამო იძულებული გახდა, თავდაცვის სამინისტროდან წამოსულიყო. მისი თქმით, ხელმძღვანელმა უთხრა, რომ უწყების ინტერესებში არ შედიოდა ქალ მფრინავზე დაეხარჯა არსებული მცირე რესურსები.

### „ინფორმაცია, რომ ჩინური „ბათინკები“ სდება ჯარის მომარაგება, არის აბსურდი“

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მტკიცებით, საქართველოს ჯარი ნატოს სტანდარტების შესაბამისი მაღალკლასიანი ფეხსაცმლით არის აღჭურვილი და სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, თითქოს ჯარი ჩინური ფეხსაცმლით მარაგდება. „ერთ-ერთი კითხვა იყო ასეთი, რომ თურმე, ჩინური „ბათინკები“ სდება ჯარის მომარაგება. ეს აბსურდი და აბსოლუტური ტყუილია. 2016 წლის მერე კომპანია „ნიუატლას“ ტენდერში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. მიიღო სხვა ხელმძღვანელის პირობებში. მაშინ მიღებული ტენდერის პროდუქცია მივიღეთ 2017 წელს და ახლა ჩინური არაფერი არ არის“, - განაცხადა იზორიამ.

### პირ დამისახელებთ პერიოდს, რა დროსაც დარღვევებს აღვილი არ ჰქონდა!

მომრჩანდით და ადგილზე ნახეთ, აქვს თუ არა ჯარს სორტი, აცვია თუ არა ჯარისკაცებს, არის თუ არა ჯარი ნატოს სტანდარტებით აღჭურვილი და მიმდინარეობს თუ არა ეს პროცესი, დაესწარით წვრთნებს და მოისმინეთ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების შეფასებები... იზორიამ მათ კრიტიკას უპასუხისმგებლო უწოდდა და აღნიშნა, რომ ის მოკლებულია ფაქტებს. „იქნებ რაღაც მართლაც არის - მეც დამანახეთ მე კრიტიკის დამფასებელი ვარ, მაგრამ უნდა იყოს დასაბუთებული არგუმენტები. ჩვენი გულისწინაა, რომ ზოგჯერ დაუმსახურებელ კრიტიკას ვისმენთ. მაგალითად, ენ. დედოფრინაზე. გადავხედე სტატისტიკას, მათ შორის ამ განცხადებების ავტორთა პერიოდში. ვერ დამისახელებთ პერიოდს, რა დროსაც გარკვეულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონდა - მათ შორის გამოძალავის ფაქტს“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა პარლამენტის სხდომაზე და აღნიშნა ისიც, რომ „არავის აქვს ამბიციია იმისა, რომ დარღვევებს მომავალში არ ექნება ადგილი“.



# თვალში საცხები - თავეში საცხები!

## კადრების დეფიციტი იქნება თვალში საცხებია, რომ ლამისა უმუშევრობის პრობლემასს გაუტოლდეს!



პროფესიულ უწყვეტ განათლებას და პროფესიული კოლეჯის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მომავალი თაობისთვის საჭირო კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს მათ საჭირო უნარებს და უნარებს დაამყაროს აქვს. ასე თუ გაგრძელდება, გამოირიცხებიან არ არის, ქვეყანაში უცხო ეროვნების მუშახელის შემოღება დაიწყოს.

თუკი ამდენ ხანს საქართველოში პრობლემა იყო უმუშევრობა, უკვე დადგა მომენტი, როდესაც შეიძლება ითქვას, რომ არანაკლები პრობლემაა კადრების დეფიციტი. აქ უკვე საუბარი არ არის მალე კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზე, სამუშაოს მაძიებლები საშუალო დონის მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებენ, ხოლო პროფესიული განათლება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ამინს აქვს. ასე თუ გაგრძელდება, გამოირიცხებიან არ არის, ქვეყანაში უცხო ეროვნების მუშახელის შემოღება დაიწყოს.

პროფესიული კოლეჯი „სპექტრის“ დირექტორი მათე ტაკიძე საქართველოში უმუშევრობის პრობლემის გადამწყვეტასა და პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი ინფორმაციით, დაახლოებით, 20-მდე კომპანიაში 3000-მდე სამუშაო ადგილია, მაგრამ ბაზარზე კვალიფიციური მუშახელის პრობლემაა. ყველაზე მეტი სამუშაო ადგილი სამშენებლო და ენერჯეტიკის სექტორებშია.

„ამ ჩამონათვალში შედის კომპანიები, როგორცაა, მაგალითად, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ და „ყაზრანსგაზ-თბილისი“. ძირითადად, ვისთანაც ვთანამშრომლობთ, მუშაობენ ენერჯეტიკაში, შედუღების

მიმართულებაში, წყალმომარაგებაში, ავეჯის, ტურიზმის სექტორში, სანტექნიკაში, ფაქტორივად, სამშენებლო სექტორის ყველა სფეროში.

დაახლოებით, მაისიდან უკვე იწყება სახელმწიფოს გადამზადების პროგრამა და კვლევები ჩავატარებთ იმისთვის, რომ გვეცოდნოდ, დაახლოებით, რომელ

## განსჯა თუ არა ომარ ნიშნიანიკა თანამედროვე იაზონი

„ქუთაისში „არგონავტიკის“ თემა მთავარი უნდა იყოს“, - აცხადებს ისტორიკოსი, საქართველოს მერვე მონ ვევის პარლამენტის დეპუტატი ომარ ნიშნიანიკი. ის „არგოს“ ახალ სიცოცხლეს სძენს. ისტორიის პროფესორის თქმით, მისი მიზანია ქუთაისში „არგონავტიკის“ თემის გაცოცხლება და ტურიზმის განვითარება. „არგონავტიკის იდეა დიდი ხანია, მანუხებს, მინდა, მეტი დაფასება ჰქონდეს ამ თემს. ქუთაისის ისტორიას მხოლოდ გვიანფეოდალური ხანიდან ვიცნობთ, მაშინ როდესაც, მანამდე ქუთაისი ჩვენს ისტორიაში არაჩვეულებრივი მოვლენაა და მსოფლიოს 5 უძველეს ქალაქთა შორის არის დასახლებული, ამიტომ ძველი კოლხეთის თემა წამოსანევია.



მქონდა იდეა, „არგონავტიკის“ თემა განმეხლებინა, ამიტომ სტუდენტების აქტიურობით დავინწყეთ მუშაობა. გვიანდა, ტიმ სევერინის მოგზაურობის 35 წლის იუბილეს გამოკვებულა. 30 წლის იუბილე თბილისში აღინიშნა, არადა, ქუთაისი იყო კოლხეთის დედაქალაქი და ქალაქის მთავარი თემა უნდა იყოს“, - აცხადებს ომარ ნიშნიანიკი. მისი თქმით, მშენებლობა ხარჯებთანაა დაკავშირებული და მეგობრების დახმარებით აშენებს. „ამ ქვეყანაში მარტივი არაფერია, ძვირი ჯდება. მეგობრები მეხმარებიან. როგორც ხდება, ზოგადად, ქუთაისში იდეას ენთუზიზმით შეხვდნენ, მაგრამ მერე უარი თქვეს. რამდენიმე პიროვნება მეხმარება. ვანელება გამოიჩინეს ინიციატივა და ამიტომ გავრისკე. დაახლოებით, 15-20 ათასი მაინც დაჯდება, რაც ჩემთვის დიდი თანხაა“, - აცხადებს ომარ ნიშნიანიკი.

## დავით გაბრატონი გამოძიებებს სახლში იბარებს!

ადვოკატის ინფორმაციით, დავით ბაგრატიონ-მუხრანელი გამოძიებისთვის ჩვენების მიცემას არ აპირებს. როგორც ლევან ჩხეიძემ აღნიშნა, მან გამოძიებლებს შესთავაზა, რომ დავით ბაგრატიონ-მუხრანელს სახლში ეწვიონ და კითხვებს იქ უპასუხებს. „სცენარს, თუ როგორ შედის დავით ბაგრატიონ-მუხრანელი ქალაქის სამმართველოში, ვერაფერს ნახავს. მსგავსი

რამ არ იქნება. თუ მას დაიბარებენ დაკითხვაზე, ჩვენ ამას შევფასებთ როგორც პოლიტიკური დევნა ხელისუფლების მხრიდან“, - განაცხადა ლევან ჩხეიძემ. გარდა ამისა, როგორც ადვოკატი ამბობს, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, სადაც ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის დაზიანებებია აღწერილი, გაყალბებულია. „მონინაღმდეგ მხარე სრულიად ბინძური ფორმით იყენებს პატარა გეორგის. ამბობენ, რომ ამ ძალადობას ბავში შეეწრო, მაგრამ ესეც სიცრუეა, ისევე როგორც ძალადობა. ისაუბრეს ასევე თავისუფლების აღკვეთაზეც, რაც არის აბსოლუტურად სიცრუე. ჩვენ ამ ფაქტს არ ვადასტურებთ. ეს ქალბატონი შეიძლება იმდენად ჩვენებას და, როგორც იტყვიან, კალამი ვერ გააგდებინეს ხელიდან. ბატონ დავითს არაფრის შეშინებია. მან გუშინ დედამისის ჯანმრთლობის გამო დატოვა ქვეყანა“, - განაცხადა ლევან ჩხეიძემ. ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი ყოფილ მეუღლეს დავით ბაგრატიონ-მუხრანელს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გამოიკითხა.

## საპატრიარქოს „ციანიდის საქმის“ მასალების გასაჯაროებაზე უარი უთხრას

საპატრიარქოს პრესამსახურის ხელმძღვანელის მამა ანდრია ჯალმაიძის ინფორმაციით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საპატრიარქოს ენ. ციანიდის საქმის მასალების გასაჯაროების თხოვნაზე უარი უთხრა. როგორც მამა ანდრია ჯალმაიძემ აღნიშნა, იურიდიული მხარე არ იძლევა მეტი დეტალის გასაჯაროების საშუალებას. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მარტში საქართველოს საპატრიარქომ ენ. ციანიდის საქმეზე „საიდუმლო“ გრიფის მოხსნის თხოვნით უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს მზია თოდუას მიმართა.

## კური კიდე გაქვირდება?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET თებერვლის თვის აგრო-მიმოხილვას აქვეყნებს. ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს ქართველი მომხმარებლები პურისა და პურპროდუქტების ფასების კიდევ უფრო მეტ ზრდას უნდა ელოდონ. „აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (USDA) პროგნოზით, მსოფლიოში სორბლის წარმოება 2019 წელს 734.75 მლნ. ტონა იქნება, რაც 4%-ით ჩამოუვარდება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს (763.18 მლნ. ტონა). მაშინ, როცა სორბლის მთლიანი მოხმარების პროგნოზი 747.23 მლნ. ტონაა - უფრო მაღალი, ვიდრე წარმოებული რაოდენობის პროგნოზი. ეს ნიშნავს იმას, რომ 2019 წლის ბოლოს მარაგები უფრო დაბალი იქნება, ვიდრე წინა წელს. 2019 წლის თებერვალში პურისა და პურპროდუქტების ფასები 10.2%-ით გაიზარდა 2018 წლის თებერვალთან

შედარებით. იმავე პერიოდში სორბლის პურის ფასი 15%-ით გაიზარდა, რაც სორბლის ფქვილის ფასების ზრდით იყო განპირობებული (წლიური 8%-ანი ზრდა). ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, 2019 წლის თებერვალში საქართველოში სორბლის ფქვილის იმპორტმა 1650.70 ტონა შეადგინა, რაც 4%-ით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს (1588.31 ტონა)“, - წერია დოკუმენტში.

## პრტიან პროვულ გამოცდაზე 41 ათასამდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა

- ამის შესახებ ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ავრცელებს. 2019 წლის გამოცდაზე დარეგისტრირებულია რაოდენობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები - 41 000-მდე აბიტურიენტი; საერთო სამაგისტრო გამოცდა - 12 000-მდე კანდიდატი; სტუდენტთა საგრანტო კონკურსი - 4 600-მდე სტუდენტი. ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია წელსაც რამდენიმე ეტაპად ტარდება. 7 მაისის 18:00 საათამდე აბიტურიენტებს საგამოცდო საგნის შეცვლა, წაშლა, დამატება ან შემოქმედებითი ტურის არჩევა შეეძლება. საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა და დამატების შესაძლებლობა კი აპელაციების შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის ჩათვლით მიეცემა. 7 მაისის 18:00 საათამდე უკვე დარეგისტრირებულ კანდიდატს შეეძლება ტესტის ტიპის შეცვლა საერთო სამაგისტრო გამოცდაზეც.

## ვანელიში ახალქალაქში

ახალქალაქში დაუდგენელი პირები მე-13 საუკუნის სალოცველოში შეიჭრნენ და სინმინდები დააზიანეს. ადგილობრივების განცხადებით, დილით სალოცველად მისულელებს, ხატები გადმოყრილი და დამტვრეული დახვდათ. ადგილობრივები მომხდარის სასწრაფოდ გამოძიებას მოითხოვენ. მოსახლეობა ამბობს, რომ შოკშია, რადგან რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი არასდროს მომხდარა და თუ სალოცველოს დაზიანების ფაქტის დროულად გამოძიება არ მოხდება, შესაძლოა, რეგიონში ვითარების დაძაბვა მოჰყვეს.



# რკინიგზის 12-წლიანი მშენებლობა და უარყოფილი სახელმწიფო ინტერესები



(პირველი გვერდიდან)

„სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის“ დამფუძნებელი, HUB Georgia-ს ექსპერტი პაატა ცაგარეიშვილი 12-წლიანი მშენებლობის პროცესში რიგ პრობლემურ საკითხებს ხედავს და მკითხველის ყურადღებას პროექტთან მიმართებაში რამდენიმე გარემოებაზე ამახვილებს:

- დროში განაღდება;
- სუსტი მინიჭების;
- დაბალი ფინანსური უზრუნველყოფა;
- სტრატეგიული ინტერესების დათმობა.

თითოეულ პუნქტზე ცაგარეიშვილი პასუხისმგებლობას საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს: „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ათვისების წერტილი“



საქართველო (მარაბა): 2007 წელი

ლი 2007 წელია. პროექტის დასრულების თარიღმა რამდენჯერმე გადაინა და ის დღესაც — 2019 წელს არ არის დასრულებული. ამჯერად დასრულების თარიღად 2020 წელი სახელდება. 2017 წელს გაიხსნა და ამ დრომდე სატესტო რეჟიმში მუშაობს. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ სისუსტეები გამოავლინა. საქართველო მენეჯმენტის ასპექტებში კარგად ვერ გაერკვა: პროექტს ვერ ეკონომიკის სამინისტრო კურიერებდა, შემდეგ ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შემდეგ — ისევ ეკონომიკის, შემდეგ — ისევ ინფრასტრუქტურის, ბოლოს ეკონომიკის სამინისტრომ ჩაიბარა კურაციის საკითხი. 10 თუ 12 მიწისტრი გამოიცვალა, რომელიც საქართველოს მხრიდან საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობდა. პარალელურად ტექნიკურმა პრობლემებმა წამოიწია, რამაც გარკვეული დროით შეაფერხა პროექტი. გარდა ამისა, 2012 წელს, პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მიზანშეწონილობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამ დროს მშენებლობის საკითხი აქტიურ ფაზაში იყო. აზერბაიჯანულმა მხარემ პროექტი მოცდის რეჟიმში გადაიყვანა, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება მკაფიოდ გაერკვეოდა პროექტის პოლიტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაში. ბუნებრივია, ამან პროექტს დრო დააკარგვინა“.

ამასთან, ცაგარეიშვილი „აქცენტთან“ საუბრისას პროექტში ჩადებული ინვესტიციის წარმომავლობაზე ამახვილებს ყურადღებას, რამაც მისი შეფასებით, აზერბაიჯანულ მხარეს ბარკეპული ბარკეპები გაუზინა, ძართულს კი პროექტის მართვის სადავები დააბარებინა:

„ვიდრე რკინიგზის მშენებლობის პროცესი დაიწყო, ფინანსური ხარჯების თაობაზე გარკვეული მონახაზი არსებობდა. პირობითად, 250-300 მილიონ დოლარზე იყო საუბარი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მარაბა-ახალქალაქის რკინიგზა 1985 წელს აშენდა. თქვენ წარმოიდგინეთ, 2 საუკუნის წინათ აშენებული რკინიგზები დღემდე ფუნქციონირებს, 30 წლის წინათ აშენებული რკინიგზა კი ფაქტობრივად ახალია. ამდენად, მარტივად იყო შესაძლებელი, შინაგანი რეზერვებით, არსებული რკინიგზის ლიანდაგის გადაკეთებით ახალქალაქი-თურქეთის საზღვრამდე 32-კილომეტრიანი მონაკვეთი მოგვეწესრიგებინა, ჩვენ კი აზერბაიჯანს მივეცით ამის უფლება: აზერბაიჯანმა — აზერბაიჯანის ნავთობის კორპორაციამ 775 მილიონი დო-

ლარის სესხი გამოგვიყო, რომლის საპროცენტო მომსახურება, რაც დროთა განმავლობაში დაგროვდება, დაახლოებით, 108 მილიონია. მიღებული სესხი რკინიგზის ტვირთბრუნვის მოგებიდან უნდა გავისტუმროთ და არც არის დოკუმენტურად გათვალისწინებული, როდის დაგვიბრუნდება საბოლოოდ რკინიგზა. აზერბაიჯანმა ორი ქვეკონტრაქტორი შემოიყვანა — შპს „აზერინშაატსერვისი“ და დს „აზერბაიჯანის რკინიგზა“. მათ დაევალა კონკრეტული სამუშაოების შესრულება და ფინანსური სახსრების მართვა. ამდენად, თანხა, რომელიც აზერბაიჯანულმა მხარემ გამოყო, თავის ქვეკონტრაქტორებს მისცა. ბუნებრივია, საქართველოსთვის მოგებიანი იქნებოდა, თავისი ქვეკონტრაქტორები შეეყვანა. ამასთან, აზერბაიჯანის ნავთობის კორპორაციამ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნავთობის ფასი მკვეთრად დაეცა, პროექტის დაფინანსება შეაჩერა.

ამდენად, რაციონალური იქნებოდა, საქართველოს თავად დაეფინანსებინა რკინიგზის მშენებლობა. ჩვენ გვაქვს ამის გამოცდილება, საავტომობილო გზები „მსოფლიო ბანკის“, „იბიარდის“ და ა.შ. ხელშეწყობით შენდება. ჩვენ შეგვეძლო, გარკვეული თანხების ანალოგიური გზით აკუმულირება და აზერბაიჯანულ მხარეს არ მიეცემოდათ ძალიან მსუყე ბერკეტს — როდესაც რკინიგზა ექსპლუატაციაში სრულად შევა, აზერბაიჯანს საქართველოსთან ერთად უჭირავს ბერკეტი, რკინიგზა მართოს“.

## დათმობილი სტრატეგიული ინტერესები

ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ პროექტის განხორციელების ფარგლებში საქართველომ საკუთარი სტრატეგიული ინტერესების ნაწილი დათმო. ამ კუთხით ის რამდენიმე გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას:

- სოფლის ტვირთის გატარების აპარატურა;
- ევროპული ტიპის ლიანდაგი მანქანის სიღრმეში;
- სატარიფო პოლიტიკა.

ცაგარეიშვილი ინფორმაციით, აზერბაიჯანული მხარის პოზიციაა, რომ აღნიშნულ რკინიგზაზე სომხური ტვირთი არ გაატაროს, რის გამოც საქართველო დაახლოებით, 700 000 ტონა ტვირთს კარგავს. „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ეკონომიკური სარგებე-



თურქეთი: 2017 წელი

ლი ჰქონდეს ქვეყანას, გაიაროს სომხურმა ტვირთმა და სამცხე-ჯავახეთში სანარმოო პოტენციური განვითარდეს. თუ აზერბაიჯანული მხარე სომხურ ტვირთს არ გაატარებს, ბუნებრივია, ისინი ტვირთს ავტომობილით გადაზიდვენ, რაც უფრო ძვირია. ამ კუთხით, ჩვენი ინტერესები დავთმეთ“.

ამასთან, ცაგარეიშვილი ეჭვის თვალით უყურებს იმ ფაქტს, რომ ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე 32 კმ-ის მანძილზე ევროპული ტიპის ლიანდაგი დაიგო და არა სტანდარტული, ისეთი, როგორც ქვეყნის სარკინიგზო ქსელია.

როგორც ცაგარეიშვილი განმარტავს, ამ გზით ქართული მხარე თურქულს აღნიშნულ მონაკვეთზე ოპერირების შესაძლებლობას აძლევს.

„ჩვენთან ერთი ლიანდაგის სიგანე 1520 მმ, ევროპაში 1435 მმ. საქართველოს ევროპული ელმავალი არ ჰყავს და ჩვენ

თურქულ მხარეს უფლება მივეცით, ამ 32-კილომეტრიან მონაკვეთზე ოპერირება განახორციელოს. ბუნებრივია, ვინც ოპერირებას ახორციელებს, ფინანსური სარგებელიც მისია. ამ უბანს სხვადასხვა ლიანდაგის შეცვლის სადგურს ეძახიან. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ მსგავსი სადგურები მოეწყო ბელარუსის, პოლონეთის, ბულგარეთის და ა.შ. სახელმწიფოების საზღვრებზე და არა ამა თუ იმ სახელმწიფოს შიგნით, როგორც ჩვენს შემთხვევაში.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი საშუალო-სტრატეგიული ასპექტიცაა — ევროპული ლიანდაგი შემოიყვანეთ. თურქეთი დღეს კი ჩვენი მეგობარია, მაგრამ შესაძლოა, სხვა სხვა მიმართულებით განვითარდეს მოვლენები და ამაზე დაფიქრება, საკითხის პოლიტიკურ ტრიკში გაანალიზება გვმართებს, ანუ ჩვენ ოპერირების უფლებაც მივეცით და ამასთან, სამომავლოდ საშუალო პოლიტიკური თვალსაზრისით რა იქნება, ვინ იცის?!“

ცაგარეიშვილი სტრატეგიული ინტერესების დათმობის კიდევ ერთ გარემოებად სატარიფო პოლიტიკის განსაზღვრაში აზერბაიჯანისთვის გარკვეული უფლებების მინიჭებას ასახელებს: „როდესაც პროექტი სრულად ამუშავდება, საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივ სანარმოს შექმნიან, რომელსაც სატარიფო პოლიტიკის მართვის ბერკეტი გადაეცემა. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი. კერძოდ, შესაძლოა, აზერბაიჯანულ მხარეს ჰქონდეს გარკვეული ტვირთნაკადი ჩვენი ნავსადგურების მიმართულებით, მაგრამ არ მოუწოდებს ამ დერეფნით სარგებლობა, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტი, დააგდოს ტარიფი და ეს ტვირთი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მიმართულებით გაატაროს. ეს შესაძლოა, რაღაც ეტაპზე ჩვენს ინტერესებში არ შედიოდეს, რადგან პორტების განვითარებას ვცდილობთ. სწორედ მსგავსი უფლებები მიეცემა აზერბაიჯანს. წარმოგიდგინათ, რომ აზერბაიჯანმა საქართველოს თავისი ტვირთორიები ნავთობის გადაადგილების მართვის ბერკეტი მისცეს? ეს ხომ გამოიცხადდა. ეს ყველაფერი პროექტის მართვის სადავების ხელიდან გაშვების ტოლფასია“.

## დაბალი ფინანსური უზრუნველყოფა

რომორც ცაგარეიშვილი განმარტავს, ყარსი-თბილისი-ბაქოს რკინიგზას წელიწადში 5 მილიონი ტონის გატარების შესაძლებლობა აქვს, თუმცა 1 წელიწადში მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების 2-3%-იც ვერ გაატარა.

„ტვირთები ვერ მოვიზიდეთ, ამიტომ მისი ფინანსური უტყობა დაბალია. წარმოგიდგინეთ, თუ ასე გაგრძელდა, ინვესტიკური როდის ამოიღებს ჩადებულ ინვესტიციას. ჩემი გათვლებით, სადავაც 3 წლის შემდეგ ამ რკინიგზამ რომ გაატაროს 2-3 მილიონი ტონა ტვირთი, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პროცესი დადებითად წარიმართა. წინასწარ დასკვნების გაკეთება რთულია, მაგრამ ჩანასახში ამ რაოდენობის ტვირთების მოზიდვის შესაძლებლობა არ ჩანს, მით უმეტეს, რომ სატრანსპორტო დერეფანში ბოლო 7 წელიწადია, კლების ტენდენცია გვაქვს ძირითად მიმართულებებზე. ამას გეგმაზომიერი მუშაობა სჭირდება ცენტრალური აზიიდან ტვირთების მოსაზიდად, სახელმწიფოს ბერკეტების ჩართვა, სხვადასხვა ქვეყნებთან კოორდინაცია. აქ ძირითად პრობლემად ის მიმაჩნია, რომ სახელმწიფო დერეფნის მართვის პროცესში გვერდზე გადგა და ეს კომერციულ სტრუქტურებს გადაულოცა. სატრანსპორტო დერეფანი კი ასე არ იმართება: თუ არის დიდი ტვირთნაკადი, სახელმწიფომ თავად უნდა დაიწყოს მუშაობა ამ ტვირთის საკუთარი დერეფნისკენ მოზიდვისთვის და არ უნდა გადაულოცოს კომერციულ სტრუქტურებს, რომლებიც ყოველთვის საკუთარ მოგებაზე არიან ორიენტირებული“.

პირდაპირ მხვავი, მამრამ კათილმოსურნი პრიტიკით დაპინჯა:

...თბილისის მერის წინასაარჩევნო პერიოდში ძალიან ბევრი, მათ შორის, ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ამტკიცებდა, რომ კალაძე საუკეთესო მერი იქნებოდა.

მასსოვს, ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი, პროფესორი სოსო ჭუმბურიძე მიმტკიცებდა, რომ კალაძე თბილისის მერად არჩევის შემთხვევაში დედაქალაქის ტრადიციულ გაზეთს აუცილებლად აღადგენდა, რაც პირადად მე, არარეალურად მეჩვენებოდა. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა. რამდენადაც ვიცი, არათუ გაზეთი აღადგინა, რედაქციის წარმომადგენლებს თბილისის მერთან შეხვედრის საშუალებაც არ მიეცათ არადა, აქ იმდენად არ დაფინანსების პრობლემაზე შეიძლება იყოს საუბარი, რამდენადაც პოლიტიკური ნების არქონაზე – კალაძეს ზედმეტი თავის ტკივილი არ სჭირდება, მისთვის გაზეთი, ალბათ, არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს!

თუმცა, გაზეთის აღდგენის პრობლემა უმნიშვნელოა იმ მოლოდინთან შედარებით (ოდნავადაც არ ვაკნინებ ტრადიციული, ჭეშმარიტად პროფესიული, მილიონნახევრიანი დედაქალაქის გაზეთის მნიშვნელობას), რასაც წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის ისტორიულ ადგილზე დაბრუნება ჰქვია – ყველას ეგონა, რომ კალაძე გამოიყენებდა საკუთარ უპირატესობას წარმართულად შედარებით და ამ ნაბიჯით (ძეგლის რუსთაველზე დაბრუნებით) თბილისელების გულს ადვილად მოიგებდა!

როგორც ამბობენ, თურმე იგივე მოლოდინი ჰქონდა ქანდაკების ავტორს, „ქართველ მიქელანჯელოდ“ წოდებულ მერაბ ბერძენიშვილსაც, რომელმაც აღმაშენებლის ძეგლის რუსთაველზე დაბრუნების დაუოკებელი სურვილი საფლავში ჩაიტანა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ აითვალუნა მისიელ სააკაშვილმა ძველამოსილი ქართველი მეფის ძეგლი და რატომ გადაიტანა იგი ქუჩადავად მისთვის შეუფერებელ ადგილას? ამაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე რთულია.

ყველას გვახსოვს, ენ. „გარდების რევოლუციის“ შემდეგ, ტრიუმფით არჩეულმა მესამე პრეზიდენტმა როგორ მოინადინა ფიცის დადება გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავზე, რითაც მიგვანიშნა, რომ ძველამოსილ ქართველ მეფეს ბაძაქდა! თუმცა, მალევე მიხვდა, რომ მას გვერდით არ ჰყავდა გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც შეცდომებს არ დააშვებინებდა და არც თვითონ იყო აღმაშენებლის პროტოტიპი, ხალხისთვის ღირსება დაებრუნებინა (ისტორია გვამცნობს, რომ, როცა აღმაშენებელი სამეფო ტახტზე ავიდა, თავის მისწავლებელს გიორგი ჭყონდიდელს ჰკითხა, როგორ უნდა დაეწყო სახელმწიფოს მართვა, რაზეც გენიალური პასუხი მიიღო: პირველ რიგში ხალხს ღირსების გრძობა და უბრუნეო) – პირქით, სააკაშვილმა მთელი ძალისხმევა ერისთვის ღირსების წართმევას მოახმარა და უფრო შორსაც წავიდა – იმდენად გათავხედდა, ცინიკურად გვიმტკიცებდა: საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება.

სწორედ სააკაშვილის ზეობის პერიოდში დაიწყო ქვეყანაში ავტორიტეტების მსხვერვის კამპანია – ძველამოსილი ქართველი მეფე დავით აღმაშენებელს სწორედ ის შეუვალი ავტორიტეტი იყო, რომელიც პატივმოყვარე პრეზიდენტს ნერვებს უშლიდა! თუ ქუთაისში ადვილად შეძლო ძეგლის დემონტაჟი და ფაქტიურად „ნაგავზე“ მოისროლა, თბილისში ამდენი ვერ გაბედა და აღმაშენებლის ძეგლი მისთვის შეუფერებელ ადგილას – დილმის სატრანსპორტო ტრასაზე გადაიტანა...

ყველა დამეთანხმება, რომ უგულავას არავინ ეკითხებოდა ძეგლის დილომატიის გადატანას. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებშიც ეს საკითხი მერების დონეზე არ წყდებოდა – ქვეყანაში პოლიტიკური ნება არ არსებობს, აღმაშენებლის ძეგლი ისტორიულ ადგილს დაუბრუნდეს!

ასეთი ცინიკური, ნიჰილისტური დამოკიდებულება მართლაც აღმაშენებლის ძეგლის მიმართ რომ იყოს, კიდევ რა გვიჭირდა... ზოგადად, ყოველგვარ ეროვნულ ფასეულობას ებრძვიან!

### რბ ტმსტი უნდა ჩააბაროს ლაღო კახაძემ?!

მწარაღმთ სახლში გამართულ სახელდახელო შეკრებაზე, რომელიც სახელოვანი (ღვანულამოსილი) ადამიანების მონაწილეობით ჩატარდა, კიდევ ერთხელ იყო საუბარი აღმაშენებლის ძეგლის ისტორიულ ადგილზე გადატანის აუცილებლობაზე.

ლეგენდარული მერაბ ბერძენიშვილის უერთგულესმა მეგობარმა და აღმაშენებლის ძეგლის არქიტექტორმა, მსოფლიოში აღიარებულმა სურთომოდვარმა, ბ-მა ვახტანგ დავითიანი (რომელიც ძალღონეს არ იშურებს ბერძენიშვილის ანდერძი აღასრულოს) შეკრებილებს დეტალურად გაამცნო ამ ძეგლის გარშემო არსებული ისტორია. გულწრფელად (დანკრილებით) ისაუბრა იმ გულგრილობაზე და ცინიზმზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა და დღესაც აქვს დედაქალაქის მერია-საკრებულოში. შეკრებაზე გაირკვა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე, ჯერ კიდევ სულმანათი მერაბ ბერძენიშვილის სიცოცხლეში, ატალახებულ იქნა ძეგლის მუნიციპალიტეტის კარები, სისტემატურად ინერგებოდა ღია მიმართებები საქართველოს პრემიერ-მინისტრების სახელზე, ასევე, ღვანულამოსილი ადამიანები პერმანენტულად გამოდიოდნენ პრესითა და ტელევიზიით, სხედებოდნენ მერიის მაღალჩინოსნებს. მიუხედავად იმისა, რომ იყო დაპირებებიც, პრობლემა მკვდარი წერტილიდან დღემდე არ დაძრულა.

კახა კალაძესთან შეხვედრა ბატონმა ვახტანგმა ამ ორი წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოახერხა. თუმცა, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია – კატეგორიულ უარსაც არ ეუბნებიან, მაგრამ, არც არაფერს აკეთებენ! მერიის აპარატი კი იმდენად არაადეკვატურია, რომ ძეგლის გადატანის გაჭიანურებას დედაქალაქში შექმნილ უკიდურეს სიდუსჭირეს უკავშირებს – „იმდენი მშვიდი გვყავს ქალაქში, რაღა დროს ძეგლის დაბრუნებაზე საუბარიო“. თბილისის საკრებულოში კი ამ საკითხით დაინტერესებულ ერთ-ერთ პიროვნებას თამაზ ათანულის ცინიკურად განუცხადეს, რომ ძეგლი მისიელ სააკაშვილმა გადაიტანა და სადაც ახლა არის, იქ უნდა დარჩეს!

სამწუხაროდ, არავინ ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიღე-



# რატომ „ეშინია“ ხელისუფლებას ბრინჯაოში გააოქმანდაკაბული დაპიტი ალაშენებლის?!



ბა მათ პრეროგატივას აღემატება, რადგან ქვეყანაში ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს. აქედან გამომდინარე, არ უნდა გვიკვირდეს, რომ თბილისის საპატიო მოქალაქეების ღია მიმართვას თბილისის მერისადმი (მესამე თვეა, მიმართვას ოფიციალურად არავინ გამოხმაურებია), არც საზოგადო მოღვაწეთა ხმა აღწევს დედაქალაქის ჩინოვნიკთა ყურამდე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ან უძღურნი არიან, მიიღონ გადაწყვეტილება, ან ასეთი ცინიზმი და გულგრილობა ზოგადად დღევანდელი ხელისუფლების ხელწერაა!

სხვათაშორის, დარბაზში სახელოვან ადამიანებს შორის იყო დეპუტატობის კანდიდატი მთანმინდის რაიონში „ქართული ოცნებიდან“, ბ-ნი ლაღო კახაძეც. მან აიღო ვალდებულება, რომ ამ თემის მიიტანდა, სადაც ჯერ არს და თავის საარჩევნო კამპანია სწორედ ამით დაიწყებდა, რასაც ჩემი კოლეგის, ბატონი სოსო ჭუმბურიძის იუმორით გაჯერებული რეპლიკა მოჰყვა: მოდი, ჯერ გაიაროს ტესტირება ბატონმა ლაღომ, რამდენად მოახერხებს ამ პრობლემის მკვდარი წერტილიდან დაძვრას და დეპუტატად მერე ავირჩიოთო! სად და ვისთან უნდა მიიტანოს ეს დავალება, გასაგებია, მაგრამ, როგორ მოუსმენენ და რამდენად გადაწყვეტენ დადებითად, ჯერჯერობით ამის თქმა ძნელია!

### უნაგუსოვს ნაგუსა პირ ავაგაბოთ!

შეპირბაზა ძალიან ბევრი გამოძველები იყო, რომლებიც თითქმის ერთსა და იმავეს იმეორებდნენ, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავდნენ. თუ ბატონი ვალერი ასათიანი „კარგად თქმისკენ“ და სატელევიზიო ეთერის ეფექტურად (მიზანმიმართულად) გამოყენებისკენ მოგვიწოდებდა, კინოდოკუმენტალისტი გიგა თორაძე,

რომელიც დოკუმენტურ ფილმს იღებს დავით აღმაშენებელზე, გამოსავალს შუა აზრის ერთ-ერთი სოფლიდან ყვიჩალთა შთამომავლების ჩამოყვანაში ხედავს (არ ვხუმრობ)! მისი აზრით, იქნებ მათმა თხოვნამ მაინც გაჭრას და ხელისუფლებამ ძეგლი ისტორიულ ადგილზე, I რესპუბლიკის მოედანზე დააბრუნოს (გაჭირვება კაცს რას არ მოგაფიქრებინებს!). ბატონები ანზორ ერქომაიშვილი, გიგა ბათიაშვილი, თემო გოცაძე, ვაჟა აზარაშვილი და სხვები დაბეჯითებით აცხადებდნენ: ყველაფერი უნდა გადაკეთოთ, რომ მერაბ ბერძენიშვილის ანდერძი აღსრულდეს, თუმცა, მათ ომახიან გამოსვლებში ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი მაინცდამაინც არ იგრძნობოდა.

ყველაზე ორიგინალური მაინც საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე დავით აბულაძე იყო, რომელმაც ხელი-სუფლების „დანამუსების“ მიზნით, აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნების ფონდის დაფუძნების იდეა შემოგვთავაზა. წინადადება საფუძველს მოკლებული არ იქნებოდა, ძეგლის გადმოტანის რეალური მიზეზი ფინანსური პრობლემები რომ ყოფილიყო. რამდენადაც ვიცი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთხელაც არ უხსენებიათ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტას ფინანსური რესურსების უქონლობა უშლიდა ხელს. დიას, საკითხი წმინდა პოლიტიკურია და გვინდა-არ გვინდა, ჩვენც სხვა გზას უნდა დავადგეთ, სხვა ხერხი უნდა მოვიფიქროთ!

### რა შუაშია ივანიშვილი?

ბატონმა სოსო ჭუმბურიძემ და სხვა გამოძველებმაც გულწრფელად თქვეს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა ივანიშვილის კეთილი ნების გარეშე შეუძლებელია. შეიძლება, ვიღაცას სჯერა, რომ აღმაშენებლის ძეგლის „ჭირისუფლების“ ტკივილიანი ხმა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემოქმედის – ბიძინა ივანიშვილის ყურამდე არ მისულა და თუ ჩვენ შევძლებთ მასთან კომუნიკაციას, პრობლემა ადვილად მოგვარდება!

დარბაზში ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: რა შუაშია ძეგლის გადატანასთან ივანიშვილი? რა ოფიციალური თანამდებობა უკავია მას დღეს საქართველოში, რომ ასეთი საკითხების გადაწყვეტაში ერეოდეს? მერე რა, რომ მმართველი პარტიის თავმჯდომარეა?!

ასეთი მიდგომა (ანუ ეს მხოლოდ ივანიშვილს ხელეწიფება), კომუნისტური ეპოქის ნოსტალგიის ასოციაციას იწვევს – იმ ეპოქის, როცა ყველაფერს კომპარტია წყვეტდა, ოღონდ, ასეთი იდეოლოგიურად საჩოთირო საკითხები პოლიტიკურად ან ადგილობრივი ცკვის ბიუროზე იხილებოდა. დღეს კი არა მგონია, ივანიშვილს საკუთარი ნების სადემონსტრაციოდ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოსთან შეთანხმება დასჭირდეს!!!

კიდევ ვიმეორებ: ვერაფერს დამარწმუნებს, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ძეგლის ადრინდელ ადგილზე, რუსთაველზე დაბრუნების თაობაზე ატყვილ აჟიოტაჟზე არაფერი იცოდეს, მაგრამ, საეჭვოდ დუმს!

პირადად ჩემთვის მიუღებელია ასეთი მონური დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან – თუ მას შეუძლია, თუ მხოლოდ მასზეა დამოკიდებული ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა და არ აკეთებს, კი არ უნდა ვთხოვოთ, არამედ, მოვთხოვოთ! ამ მნიშვნელობა აქვს, პირადად მიემართე თუ არა მას ამის თაობაზე – ივანიშვილმა ასეთი გახმაურებული თემები კი არა, სად რა გაიფიქრებს (სუს-ის წყალობით), ისიც კი იცის. იმაშიც დარწმუნებულია, რომ „ბოლო სიტყვა“ ყოველთვის მას ეკუთვნის!!!

რადგან ასეა, მიკვირს, როგორ ვერ მოახერხებს ამ 7 წლის განმავლობაში ივანიშვილთან დაახლოებულმა ადამიანებმა, ხმა მიეწვინათ საქართველოს პირველი მოქალაქისთვის და დაერწმუნებინათ, რომ ძეგლის დაბრუნება აუცილებელია – დაერწმუნებინათ იმაშიც, რომ ამით იგი ქართველი ინტელიგენციის გულს მოიგებდა და მნიშვნელოვან ქულასაც ჩაინერგდა!

როგორც უკვე აღვნიშნე, ეს მისია ამჯერად მაჟორიტარობის კანდიდატმა მთანმინდის რაიონში, ბატონმა ლაღო კახაძემ აკისრა – სწორედ ის გადასცემს ივანიშვილს პეტიციას, რომელიც სახელდახელო შეკრების მონაწილეებმა შეიმუშავეს.

არ ვიცი, მოიქნეს თუ არა „ჯადოსნურ კვერთხს“ საქართველოს დღევანდელი პირველი მეოცნებე, მაგრამ, რომც მოიქნოს და პრობლემა დადებითად გადაწყდეს, მე ერთი კაცის ნებაზე დარჩენილი საქართველო ძალიან მეცოდება!

გულდასმით გავაცანი მიმართვის ტექსტს, რომელსაც ერის ინტელექტუალური ნაღები აწერს ხელს. მიმართვაში იგრძნობა, რომ ივანიშვილი ბოლო იმედია და მხოლოდ მას შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება.

აქსიომა: თხოვნა კომუნიკაციის ცივილური ფორმაა, თუ, რა თქმა უნდა, შესთხოვნას ითვალისწინებენ, მაგრამ, როცა ეს არ ჭრის, მაშინ უნდა მოსთხოვო!

დაველოდოთ, იქნებ ამჯერად მაინც გაგვიღიოს ფორტუნამ, თუ არადა, არსებობს სხვა ფორმა – საპროტესტო აქცია დედაქალაქის ინტელიგენციის მონაწილეობით, რომელიც კიდევ ერთხელ გააშიშვლებს დღევანდელი ხელისუფლების ნამდვილ სახეს და აიძულებს მას, წავიდეს დათმოებაზე!

ჩვენ ხშირად ვაპრიტიკებთ ასაგავრად თაობას, მსახვედრობით, რომ მათ პატრიოტული გუხტი არ გააჩნიათ, რაც სიცრუეა – ჩვენი ინერტილობით და ხელისუფლებისადმი მონური მორჩილებით თვითონ ვაპლივით ვართ ცუდ მაგალითს. ააბ, დავუშვათ და მხარდაჭერა ვთხოვთ, თუნდაც ამ ეტაპის გადატანისთვის აუცილებელ საპროტესტო აქციაში. დარწმუნებული ვარ, გვირდში დაგვიდგებიან და თავიანთი ომახიანი შუახილიებით მვეყვანასაც შეაზანზარებენ.

ღმერთმა ძნას, არ დაგვიჭრდეს!



ზაურ ნაჭყვიანი



ასევე, კი იცი, რომ შენთვის ძვირფასი და საყვარელი პიროვნება დასუსტებულია და შიშითა ფიქრობს მის ავ დასასრულზე, მაგრამ აკი დასასრული რომ მოვა, მაინც მოულოდნელია შენთვის. ეტყობა, გულისგულში იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სიყვარული დაეხმარება ჩვენს რჩეულს და გაამარჯვებინებს თვით სიკვდილზეც კი.

ნოდარ მგალობლიშვილი დიდი მსახიობი იყო, ისეთი, რომელიც იძულებულს ხდის მაყურებელს, რომ ამ უკანასკნელს უყვარდეს ის, რაც ნოდარს უყვარს და სძულდეს – რაც ნოდარს არ უყვარს...

ვსწავლობდი კინორეჟისურას თენგიზ აბულაძის ჯგუფში. ვფიქრობდი, რომ დიდხანს კინორეჟისორის საქმიანობა უნდა ყოფილიყო ჩემთვის მთავარი. და უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს ფილმებში ყოველთვის მთავარი როლი ბატონ ნოდარს უნდა ეთამაშა.

ალარ მახსოვს, მეორე კურსზე ვიყავი თუ მესამეზე. ერთ დღეს გავიგე, რომ ძველი კინოსტუდიის დიდ პავილიონში ნოდარ მგალობლიშვილს იღებდნენ რაღაც ფილმში. სიყვარული ადამიანს სითამამესა ჰმატებს. მივედი იმ პავილიონში და ვიპოვე ბატონი ნოდარი.

ვუთხარი, ესა და ეს კაცი ვარ, ვსწავლობ თენგიზ აბულაძესთან, სწავლას რომ დავამთავრებ და პირველ ფილმს გადავიღებ, მინდა, იმ ფილმში მთავარი როლი ითამაშოთ-მეთქი.

გულის ფანჯრით ველოდი პასუხს. გამეხარდა, რომ ბატონი ნოდარი სწორედ ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, როგორც წარმომედგინა: კეთილი და გამგები. კარგიო, მითხრა და გამიღიმა.

ვიდრე მე ინსტიტუტს დავამთავრებდი, კინოსტუდიის დირექტორმა, ბატონმა რეზო ჩხეიძემ კინოსტუდიაში დააარსა გაერთიანება „დებიუტი“, სადაც კურსდამთავრებულებს შეგვეძლო ჩვენი პირველი ფილმის გადაღება.

მეც „დებიუტი“ გადავიღე პირველი ფილმი – „რად სტვენს ბულბული“.

ცხადია, მთავარ როლში მივიწვიე ბატონი ნოდარ მგალობლიშვილი: მას უნდა ეთამაშა ორი პერსონაჟი. არცთუ კარგი ადამიანი და იმ ადამიანის ორეული.

ბატონმა ნოდარმა, ცხადია, შესანიშნავად ითამაშა. გადაღებისას როგორც რეჟისორი და როგორც მაყურებელიც

განსაკუთრებით ვტკებობდი მსხვილი პლანებით: ნოდარ მგალობლიშვილს შეეძლო სიტყვის უთქმელად გამოეხატა ნებისმიერი გრძნობა.

მაყურებლების რეაქციისა და შემდეგ გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ფილმი არ ჩავარდნილა და თუ მას რამე დააკლდა, ეს ჩემი, როგორც გამოუცდელი რეჟისორის ბრალი იყო და არა მსახიობებისა...

მთავარი დასკვნა, რაც პირველი

# მაყურებელს სამუდამოდ ემახსოვრება მისი მზერა...

ფილმიდან გამოვიტანე, ეს იყო: თუ მინდა, რომ იმ მასშტაბის მსახიობმა ითამაშოს ჩემს ფილმში, როგორც ნოდარ მგალობლიშვილია, ფილმის გადასაღებად გაცილებით უკეთ უნდა ვიყო მზად. გაცილებით მწყობრი და დახვეწილი სცენარი უნდა მქონდეს და როგორც რეჟისორი, უნდა უკეთესი ვიყო.

და დავინყე მზადება...

მაგრამ ხელი შემეშალა იმით, რომ უცებ ბევრ რეჟისორს მოუნდა ჩემი გადაღება. ამას გარდა, გადავიღე საბავშვო ფილმი, რომლისთვისაც ასევე დიდი ხანია, ვემზადებოდი.

მერე 1988 წელს ჩავები ეროვნულ მოძრაობაში და ამას მოჰყვა ჩემი გადაუტყატება.

ჩემი ყოფნა ხელისუფლებაში იარაღის ძალით შეწყვეტეს და აღმოვჩნდი სამშობლოდან გაძევებული...

სცენარის წერას ბატონი ნოდარის გადასაღებად სულ განვაგრძობდი. მეგონა, მალე დავბრუნდებოდი ჩემს ქვეყანაში, მაგრამ იძულებითი ემიგრაცია ოც წელიწადს გამიგრძელდა.

2012 წელს რომ დავბრუნდი, კვლავ ვწერდი სცენარს ბატონი ნოდარისათვის. ახლა კლინტ ისტუდი მიყვარდა და



„სიყვარულის ფორმულა“

სცენარს ვწერდი მარტოხელა მეტროპოლიტანში, რომელსაც რთული ცხოვრება გამოევლოდა და ახლა პატიოსნად აჯამებდა თავის გზას.

სცენარი თითქოს ცუდი არ გამოვივიდა, მაგრამ ერთ დღეს სარკეში რომ ჩავიხედე, მივხვდი – უკვე ხანდაზმულე ბი ვიყავით მეც და, ჩემზე უფრო, ბატონი ნოდარიც და სცენარის ეკრანზე განსახორციელებლად ეწერგია ალარ გვეყოფოდა.

ცხოვრება კი გრძელდებოდა. ბატონი ნოდარი შეუღლებული იყო მწერალ ნინო ჩხიკვიშვილთან.

ნინოს მწერლობაში ორი მთავარი თემაა: ქართული თეატრი და ქართული საბავშვო ლიტერატურა. საბავშვო ლიტერატურის სიყვარულმა დაგვაკავშირა ერთმანეთს ნინო და მე – ქართველი მეზღაპრე.

ხშირად ვლაპარაკობდით ტელეფონით საბავშვო ლიტერატურის საჭირობო როტო საკითხებზე. ყოველი საუბრის დასასრულ არ მავიწყდებოდა, მონინებით გადამეცა მოკითხვა საყვარელი მსახიობისთვის – ნოდარ მგალობლიშვილისთვის.

უკანასკნელად ბატონ ნოდარს შევხვდი ქაშუეთის ეკლესიასთან. გულთბილად ვილაპარაკეთ და მან მითხრა, რომ მოსწონდა ჩემი ზღაპრები.

ამან ისე გამახარა და ამადლევა, როგორც დიდი ხნის წინათ სტუდენტი გამახარა, რომ ითამაშებდა ჩემს პირველ ფილმში.

თეატრის ამბებში არა ვარ საკმაოდ კარგად გარკვეული, მაგრამ მგონია, რომ თეატრში ბატონი ნოდარის ნიჭი ჯეროვნად იყო დაფასებული.

ამასვე ვერ ვიტყვით ქართულ კინოზე, რომელიც ვალში დარჩა ამ დიდი მსახიობის წინაშე. თუ კინოდ არ ჩავთვლით ბატონი თემურ ჩხეიძის ტელესპექტაკლს „ჯაყოს ხიზნები“, ნოდარ მგალობლიშვილს არ უთამაშია მისი ნიჭის შესაფერისი როლი ქართულ კინოში.

ამ სამწუხარო ამბის ანაზღაურება მოხდა რუსი რეჟისორის მარკ საზაროვის ფილმში „სიყვარულის ფორმულა“. ბატონმა ნოდარმა ითამაშა გენიალური კალიოსტროს როლი და ითამაშა სწორედაც რომ გენიალურად.

ასევე დიდებულია ითამაშა მან 2002 წელს დიმიტრი სვეტოზაროვის რუსულ სერიალში – „სახელად ბარონი“.

ხოლო 2007 წელს, როდესაც საჭირო გახდა კვლავ დიდი ისტორიულ-მითოლოგიური პერსონაჟის – დონ ჟუანის ეკრანზე გაცოცხლება, რეჟისორმა ანდრე ბენევენდორომ კვლავ ნოდარ მგალობლიშვილი მიიწვია ამ როლზეც. მიიწვია და არც შემეცდარა.

ბატონმა ნოდარმა შესანიშნავად ითამაშა მოხუცი დონ ჟუანის როლი. ალბათ, სწორედ ასეთი დარჩება ეს გმირი მესხიერებაში მაყურებელს: მახვილგონიერი, ბრძენი და კეთილი.

ახლა, როცა ამ წერილს ვწერდი, მომინდა, კვლავ მენახა ბატონი ნოდარის ბრწყინვალე თამაში „სიყვარულის ფორმულაში“.

იმ მზერას, რომელიც კალიოსტრო ნოდარ მგალობლიშვილს აქვს, ზოგნი მაგნეტიურს ეძახიან, ზოგნი – დემონიურს, ერთი კია, რომ მაყურებელს სამუდამოდ ემახსოვრება ეს მზერა.

ვფიქრობ, რომ ეს როლი უნდა დაუბრუნდეს ქართველ მაყურებელს, რადგან ბატონი ნოდარი სულით ხორცამდე ქართველი იყო.

ვიცი, რომ არიან მსახიობები, რომლებსაც შეუძლიათ ხმის იმიტაცია. უნდა ვიპოვოთ ასეთი კაცი, რომელიც შეძლებს ნოდარ მგალობლიშვილის ნაცვლად ქართულად გაახმოვანოს კალიოსტრო. ვთხოვოთ იმ რეჟისორს, რომელსაც შეუძლია ბრწყინვალედ გაახმოვანოს „სიყვარულის ფორმულა“, ანუ ბატონ თემურ ჩხეიძეს, მას ხომ ყველაზე კარგად მოეხსენებოდა ბატონი ნოდარის ნიჭიერება და, ალბათ, ყველაზე მეტადაც უყვარდა იგი.

თუმცა, რატომ ვფანტავიორობ? იქნებ დიდი ხანია, გაკეთებულია, რასაც ახლა გთავაზობთ?

თუ ასეა, ძალიანაც კარგი. მაგრამ ვაი, რომ ნაკლებია ამისი იმედი.

არ ვიცი, რა როგორ მოხდება...

ჩემდათავად კი დავბეჭდავ სცენარს, რომელიც ნოდარ მგალობლიშვილისთვის დავწერე. ამით მის სსონას მივაგებ პატივს.

სცენარის კითხვისას მკითხველს ვთხოვ, გმირად ბატონი ნოდარი წარმოიდგინოს. ამით ოდნავ მაინც შეუმსუბუქდება დიდი ადამიანის წასვლით გამოწვეული ნალველი...

**გურამ პეტრიაშვილი**



„ჯაყოს ხიზნები“

# გარდაიცვალა დიდი რეჟისორი გიორგი დანელია

ცნობილი კინორეჟისორი გიორგი დანელია 88 წლის ასაკში მოსკოვში გარდაიცვალა. ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.


გიორგი დანელია 1930 წლის 25 აგვისტოს თბილისში დაიბადა.

მან დაამთავრა მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტი. 1956 წელს ჩააბარა „მოსფილმის“ კინოსტუდიასთან არსებულ უმაღლეს სარეჟისორო

კურსებზე მიხეილ კალატოზოვის სახელოსნოში.

1960 წელს გამოვიდა მისი სადებიუტო ფილმი „სერიოზა“. კინოსურათმა კარლოვი ვარის საერთაშორისო კონოფესტივალზე გრან-პრი მოიპოვა.

გიორგი დანელიამ გადაიღო ფილმები „არ იდარდო“, „მიმინო“, „აფონია“, „შემოდგომის მარათონი“, „ქინ-და-და“, „პასპორტი“, „ნასტია“ და სხვა.



# ნატო არ კვდება - ის ზომბია, როგორც ჩაენიერიკა პერიოდულად ხდება, თუმცა საბოლოოდ ზომბების კვდებიან, და ეს საქართველომ უნდა იცოდეს



„პროფესორმა უოლტერ რასელმა The Wall Street Journal ამას წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს „პულის შეუმონა“ და მივიდა დასკვნამდე, რომ ნატო მალე მოკვდება, მაგრამ იგი ცდება. დავაზუსტოთ: ნატო, უბრალოდ, ზომბია, რომლის რენიმაცია პერიოდულად ხდება, თუმცა, რა თქმა უნდა, რენიმაციასაც თავისი საზღვრები აქვს. საბოლოოდ ზომბებიც კვდებიან“, - წერს სამხედრო ექსპერტი, აშშ-ის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი დუგლას მაკგრეგორი: „ეს სასარგებლოა, იცოდეს საბარტიველომ, პატარა სახელმწიფომ, რომელიც კავკასიის მთებში რუსეთს, თურქეთს და ირანს შორის მდებარეობს და რომელსაც აქტიურად ლობიონობენ ნატოში გაწევრიანებისთვის“.

„ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სასიცოცხლო ძალა პირველად მაშინ გამოეცალა, როცა საბჭოთა მუქარა გაქრა. დაიწყო მსჯელობა იმაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინა ნატოს, როცა მისი მონინალმდებელი არსებობდა... მაგრამ მომავლად ნატოს, ვუდუს მაგის მსგავსად, ახალი სიცოცხლე ბალკანეთის კონფლიქტმა ჩააბერა. შემდეგ მოიფიქრეს პროგრამა „პარტიკიონობა მშვიდობისათვის“ და როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავს საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულად თვლიდნენ, რიგი დაიკავეს, რომ ნატოს პარტიკიონობა გამდარიყვნენ.

და რატომაც არა? რომელი ყოფილი სოციალისტური სახელმწიფო იტყოდა უარს ვაშინგტონის სამხედრო-ფინანსურ დახმარებაზე? ისინი ხომ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ „რუსული მუქარა და საფრთხე“ აუცილებლად დაბრუნდებოდა... მოკლედ, საბოლოო ჯამში ნატომ კვლავ დაიწყო გაფართოება, ამჯერად აღმოსავლეთისკენ. დასავლეთმა სრული იგნორირება მოახდინა იმ დაპირებისა, რომელიც პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვს ჯორჯ ბუშმა, მარგარეტ ტეტჩერმა, ფრანსუა მიტერანმა და ჰელმუტ კოლმა აღუთქვეს, რომ ნატო აღმოსავლეთისკენ არ გაფართოვდებოდა და თავის რიგებში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფილ წევრებს არ მიიღებდა.

რა თქმა უნდა, 1990-იან წლებში არანაირი რუსული საფრთხე არ არსებობდა, მაგრამ ამერიკის სამხედრო მრეწველობა დაინტერესებული იყო ნატოს გაფართოებით და მონახა მიზეზი მიზნის მისაღწევად: საჭირო იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ალიანსში მიწვევა, რაც ამერიკულ სამხედრო ბიზნესს საარაკო მოგებას მოუტანდა. რასაკვირველია, იმ დროს სხვა უამრავი საფრთხეები და გამოწვევებიც იყო, რომლებმაც ხელი შეუწყეს აშშ-სა და ნატოს სხვა

წევრების სამხედრო ბიუჯეტის ზრდას: აშშ-სა და მისი ნატოელი მოკავშირეების ჯარები თითქმის ყველგან იყვნენ - აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში...

თანდათანობით რუსეთიც აზრზე მოვიდა: იმ დროს, როცა ბარაკ ობამა პრეზიდენტობის პირველ ვადას ამთავრებდა, მოსკოვი მივიდა დასკვნამდე, რომ ნატოს გაფართოება და მისი შეღწევა ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთში კოორდინირებული გეგმა იყო იმისთვის, რომ რუსეთის სტრატეგია განეიტრალებულიყო.

**აშკარაა, რომ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსი ხალხის მოტივაცია მოახდინა და მის მიერ გატარებული საზინაო პოლიტიკა რუსეთს, ყირიმის ანექსიის გამო დაწინაურებული დასავლური სანქციების დამანგრაველი შედეგების განეიტრალება დაიხმარა. სხვათა შორის, ყირიმი რუსეთის შიდაგადასარსებო და მის კონტროლში უფრო მეტ ხანს იყო, ვიდრე ტახისის შტატი აშშ-ის შიდაგადასარსებო.**

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ეკონომიკა სამხრეთ კორეის ეკონომიკას ბევრად ჩამოუვარდება, პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მაინც მოახერხა ქვეყნის ეროვნული იმიჯისა და სამხედ-

რო ძლიერების მეტ-ნაკლებად აღდგენა. მისმა ერთგვარმა პარანოიკულმა გადახრებმა ზოგიერთი დამკვირვებელი იმ ვარაუდამდე მიიყვანა, რომ ვლადიმერ პუტინი რუსეთს დასავლეთთან „სამხედრო გარჩევებისთვის“ ამზადებს. მართალია, ასეთი პოზიცია გადაჭარბებულია, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, ექვტი შეგვეპაროს რუსეთი პრეზიდენტის ნებაში, რომელიც მზადაა რუსეთის ინტერესები დაიცვას თავის (აღმოსავლეთ) ნახევარსფეროში.

დღეს საქართველო ნატოში განეწვეებას ესწრაფვის. საქართველო - ისევე როგორც ჩერნოგორია და ალიანსის სხვა ახალ წევრთა უმეტესობა - რიგში დგას და მზადაა, აშშ-ის სამხედრო პროტექტორატად გადაიქცეს. თუ პრეზიდენტი დონალდ ტრამპს არ სურს, რომ მოსკოვი ასეთ დასკვნამდე მივიდეს - (ნატოში განეწვევებით) საქართველო რუსეთზე, ირანზე ან სხვა რეგიონულ სახელმწიფოზე თავდასხმის პოტენციურმა გახდებოდა - მაშინ აშშ-ის პრეზიდენტმა უბრალოდ უნდა თქვას - „არა“.

მოვიდა დრო, რომ ზომბი ნატო გაქრეს. მართალია იყო შარლ დე გოლი, როცა ამბობდა - „ინგლისი კუნძულია, აშშ კი ევროპა არ არისო“, - ნათქვამია სტატიის დასასრულს.

„The National Interest“ (აშშ)

## შეკლავს თუ არა რუსეთი, შავ ზღვაში ნატოს სათანადო პასუხი გასცეს?

რუსეთის მტკიცებით, იგი მზადაა, ნატოს მიერ შავ ზღვაში დაანონსებულ მოქმედებებს პასუხი გასცეს. ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე გრუშკოვ განაცხადა. „ჩვენ გულსყურით შევაფასებთ ვითარებას და თუ რუსეთის მხრიდან დამატებითი სამხედრო-ტექნიკური ზომები იქნება საჭირო, ჩვენ მათ აუცილებლად მივიღებთ“, - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

და სახმელეთო კომპონენტების განახლებას ანარმოებს, ამდენად, სამხედრო თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მზადაა სამხედრო უსაფრთხოების სფეროში ნებისმიერი შესაძლო სცენარისთვის.“ „ნატოს მიერ შავ ზღვაში წარმოდგენილობის გაძლიერების მიმართულებით გაცხადებული ზომები არც ამ ორგანიზაციაში და არც რეგიონში გააუმჯობესებს ვითარებას“, - დასძინა რუსმა მაღალჩინოსანმა.

შავი ზღვის აუზზე ნატოს აქცენტის ზრდაზე რამდენიმე დღის წინ საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა ალიანსის გენმდივანმა იენს სტოლტენბერგმა ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ამჟამად ნატო საქართველოსთან უსაფრთხოების სა-

კითხვებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს.

გუშინ ვაშინგტონში NATO-ს 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მინისტრიალი დაინყო. როგორც ლონისძიების დაწყებამდე აღინიშნა, ალიანსი შავი ზღვის აუზში რუსეთის ქმედებების შემკავებელი ზომების პაკეტს ამზადებს, რომელიც, კერძოდ, ქერჩის სრუტეში უკრაინული გემების გავლის უზრუნველსაყოფად ხომალდების გაგზავნას ითვალისწინებს. საუბარია ასევე საჰაერო დაზვერვის გაძლიერებაზე.

„ძალზე მნიშვნელოვანია, შავ ზღვაში რუმინეთის, ბულგარეთის, უკრაინისა და საქართველოს უსაფრთხოება იყოს უზრუნველყოფილი. ეს ენება რო-

გორც ამ ქვეყნების ხომალდებს, ისე მათ სანაპიროებს“, - განაცხადა ალიანსში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ქეი ბეილი ხატჩისონმა.

როგორც ცნობილია, უკრაინის აღმოსავლეთში კრიზისის დაწყების მომენტიდან შავ ზღვაში რეგულარულად შედიან აშშ-ისა და ნატოს სხვა წევრი სახელმწიფოების ხომალდები. ბოლო ვიზიტი 29 მარტს განხორციელდა. შავი ზღვის აკვატორიაში NATO-ს მეორე მუდმივმოქმედი სამხედრო-საზღვაო დაჯგუფების საბრძოლო გემები შემოვიდნენ, კერძოდ, მისი ფლაგმანი - ნიდერლანდური საესკადრო ნალმოსანი ხომალდი „ევერტსენი“, კანადური ფრეგატი „ტორონტო“, ესპანური ფრეგატი „სანტა მარია“, ბულგარული „Drazki“, თურქული „Yildirim“ და რუმინული „RegeleFerdinand“.

შავ ზღვაში პატრულირების შემდეგ ორი ხომალდი 1 აპრილს უკრაინაში, ოდესის პორტში შევიდა, ხოლო 4 - საქართველოში, ფოთის პორტში. ვიზიტის ფარგლებში მიმდინარეობს ერთობლივი წვრთნები. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მართვის ეროვნული ცენტრის განცხადებით, ხომალდების გადაადგილებას შავი ზღვის ფლოტის ძალები ადევნებდნენ თავალებს.

თუმცა შეუძლია თუ არა რეალურად რუსეთს, შავ ზღვაში ნატოს სათანადო პასუხი გასცეს?

საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტი გიორგი გობრონიძე მიიჩნევს, რომ სადღესოდ შავ ზღვაში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოდგენილობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრთურქეთს აქვს და მას დიდი დრო არ სჭირდება რუსული ფლოტის ყირიმში „დასატოვებლად“.

„რუსეთის შავი ზღვის ფლოტი მართალია, ქართველებს გვაშინებს, მაგრამ ვერანაირად ვერ აშინებს ნატოს წევრ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც შეუძლიათ, რეალური კონტრიბუცია შეიტანონ ალიანსის თავდაცვის ძალებში საკუთარი არმიებით. ასეთია, მაგალითად, თურქეთი, ნატოს მეორე არმია, როგორც ასეთი. და მართალია, სადღეისოდ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები თითქოს დალაგებულია, მაგრამ ძალიან მალე იმასაც ვნახავთ, რომ ისინი კიდევ უფრო გაუარესდება, ვიდრე აქამდე ყოფილა. ნატო-რუსეთის სამომავლო ჰიპოტეტიკური დაპირისპირების პირობებში თურქეთს ძალუძს, რუსული შავი ზღვის ფლოტი რამდენიმე საათში გაანადგუროს“ - განუცხადა „აქცენტს“ გობრონიძემ.





გეგმვა გეგმავს

ამ საქმიანობის კომპონენტია რეგიონებში ადგილობრივ თემებთან სამოქალაქო აქტივობებთან „ნაცმოძრაობას“ აძლევს ეფექტურ ბერკეტს ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების განწყობების ფორმირებისათვის, ისე რომ თავად კი არ იყოს ამის ინიციატორი, არამედ სამოქალაქო სექტორი (მის მიერ კონტროლირებადი).

ასეთი სულ 42 ორგანიზაციაა. 2012 წელს „ნაცმოძრაობის“ პერიოდის მაღალჩინოსნებისა და პარტიული ფუნქციონერების მიერ დაფუძნებულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება – „დასავლური პლატფორმა“, რომელმაც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მიმართულ არაერთ აქციას გაუკეთა ორგანიზება. ის იყო რუსთაველზე ზაზა სარალიძის მხარდამჭერი აქციის თანაორგანიზატორი.

ამ გაერთიანებას კავშირი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების მესამე სექტორის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც მიხელის სააკაშვილის მხარდამჭერებად ითვლებიან. კერძოდ, 2018 წლის ოქტომბერში ამ გაერთიანებას სტუმრობდნენ აშშ-ის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ქრისტინა პუშო და ლორეტა ჰარინგტონი, რომლებიც ცნობილი არიან დასავლურ მედიაში სააკაშვილის მხარდამჭერი და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგო პუბლიკაციებით. მათ და „ნაცმოძრაობის“ სხვა მხარდამჭერებს ევროპაში თუ აშშ-ში „დასავლური პლატფორმა“ აქტიურად ამარაგებს ინფორმაციებით საქართველოში არსებული „სავალალო მდგომარეობის“ შესახებ. გაერთიანება თავის ღონისძიებებს ძირითადად მართავს ექსპრეზიდენტ სააკაშვილის დედის გიული ალასანიას საქართველოს უნივერსიტეტში.


ენმ-ს მხარდაჭერი „დასავლური პლატფორმის“ აქტიური ნაწილები არიან:

1. INCD (INTERNATIONAL NETWORK FOR CIVIL DEVELOPMENT, საერთაშორისო განვითარების საერთაშორისო ქსელი – შმაგი ჩოხელი;
2. საპარტიო პარლამენტარულ საზოგადოებას – მანანა ჯგერაშვილი;
3. მხარე ინტერნეტი – ოთარ ლომსაძე;
4. ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება „ლზაბი“ – ჯონი კვარაცხელია;
5. აფხაზეთის ხმა – დავით კორახაშვილი;
6. საპარტიო ახალგაზრდობა ევროპული მომავლისთვის – მანანა ანდლუაძე;
7. ამერიკის მხარდამჭერთა ლიგა – ირაკლი კვიციანი;
8. თანხმობის ზონა – კობა ხაბაზი;
9. ახალი ხედვა საპარტიო – გიგა ნასარაძე;
10. მოძრაობა „ქალაქის მშენებელი“ – ანა ქარხალაშვილი;
11. ივერტი – დავით ნებიერიძე;
12. HEALTHY GOVERNMENT – ირინა ცაიძე;
13. მოძრაობა ლაზიკა – ქეთა გაბიანი;
14. დამოუკიდებელი აფხაზეთი – ვალერი ჭელიძე;
15. საპარტიო ოპოზიციის გარეშე – ზურაბ ავალიშვილი;
16. ახალგაზრდა დიპლომატთა ლიგა – ზესიკა ექსუელიძე;
17. ტომას ჯეფერსონის ცენტრი/საპარტიო – თორნიკე შურულაძე;
18. სამოქალაქო განვითარების ქსელი – ვიქტორია ქვარცხავა;
19. საპარტიო დამცვეთი რეფორმირების ცენტრი – ზვიად კუპრაძე;
20. საერთაშორისო საზოგადოების ტრანსფორმაციის ცენტრი – გიორგი ფანჯავიძე.

ხელისუფლების დათმობის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა მიერ სამოქალაქო სექტორში შესვლამ საშუალება მისცა მათ, ერთი გასაროლით რამდენიმე ჩიტი მოეკლათ. სამსახურის გარეშე დარჩენილებმა იპოვეს დასაქმების სფერო, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის სტატუსმა გარკვეულწილად უსაფრთხოება უზრუნველყო, რადგანაც „ენჯეოს“ ლიდერის მიმართ სამართლებრივი დევნა სამოქალაქო სექტორზე თავდასხმად და მის შევიწროვებად იქნება წარმოჩენილი შინ თუ გარეთ, სამოქალაქო სექტორში ათქვევით ერთგვარად მოხდა მათი, თუნდაც ნაწილობრივი, „განწმენდა“ რეაბილიტაცია“. თუმცა, მთავარი „ბენეფიტია“ მათი პარტიის ინტერესების მომსახურება სამოქალაქო სექტორის გავლით, ამ სექტორის რესურსების და იმიჯის გამოყენებით „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის წარმოებას, სამოქალაქო სექტორში მოკავშირეების გაჩენა და მათი გამოყენება კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისთვის დროს. „ნაცმოძრაობის“ მიერ დაარსებული ენჯეოების პრიორიტეტები პირდაპირ კავშირშია „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ ინტერესებთან და მიზნებთან. რაც გამოიხატება საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებასა და მათთვის სასარგებლოდ გან-

ბის მიერ ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილების ექსპერტიზის და კრიტიკული შეფასების შესახებ ბეჭდურ, ონლაინ თუ ელექტრონულ მედიაში რეპორტაჟებს ამზადებენ მეტწილად ის ყურნალისტები, რომლებმაც ამავე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარეს. მათი პუბლიკაციების კომენტარს და ამ კომენტარების მედია სივრცეში ტირაჟირებას აკეთებენ ექსპერტები, რომლებიც კიდევ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენენ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ „ენჯეოების“ ხელმძღვანელები მეტწილად „ცნობადი სახეები“ არიან, მედიის ყურადღება მათ მიმართ, თავისი მასშტაბებით, ბევრად არ ჩამოუვარდება მთავრობისა და პარლამენტის წევრთა მიმართ გამოჩენილ ყურადღებას. დღიდან დაარსე-

# როგორ გვიტყვის არასამთავრობო კლანი



ნყოფების ჩამოყალიბებაში, ასევე ელექტორალური ბაზის გაზრდაში. ამიტომაც აღნიშნული ორგანიზაციები არასამთავრობო ორგანიზაციის მისიის საფარვეტში ხშირად ატარებენ სხვადასხვა სახის გამოკითხვებსა და საზოგადოებრივი განწყობების კვლევებს, რომელიც იფუძნება კეთილშობილი უწყინარი მიზნით, რომ სურთ, გააძლიერონ მოქალაქეთა ჩართულობა, მათი პრობლემების უკეთ და სწრაფად მოგვარების მიზნით და ა.შ. ხელისუფლებისადმი მოქალაქეების დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაცია ანალიზდება და მიღის „ნაცმოძრაობასთან“, სადაც უკვე ხდება მისი გამოყენება პარტიული და პოლიტიკური მიზნებისათვის.

„ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა დაფუძნებული ორგანიზაციები ტრადიციულად მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ პოლიტიკური კადრების მომზადებას. ისინი თავიანთ საქმიანობაში რთავენ აქტივისტებს თბილისიდან და რეგიონებიდან, პერსონალურ კადრებს ასაქმებენ თავიანთ ორგანიზაციებში, და აძლევენ მათ კარიერული ზრდის საშუალებას ორგანიზაციაში. შესაბამისად, ეს ხალხი ხდება უკვე ადამიანური რესურსი პოლიტიკურ აქციებში ჩასართავად. სადღესოდ „მესამე სექტორის“ ეს „ნაციონალური“ სემინტრი იკავებს საჯარო-პოლიტიკურ სივრცის მნიშვნელოვან სეგმენტს. ამ არასამთავრობო ორგანიზაციე-

ბის მიერ ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილების ექსპერტიზის და კრიტიკული შეფასების შესახებ ბეჭდურ, ონლაინ თუ ელექტრონულ მედიაში რეპორტაჟებს ამზადებენ მეტწილად ის ყურნალისტები, რომლებმაც ამავე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარეს. მათი პუბლიკაციების კომენტარს და ამ კომენტარების მედია სივრცეში ტირაჟირებას აკეთებენ ექსპერტები, რომლებიც კიდევ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენენ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ „ენჯეოების“ ხელმძღვანელები მეტწილად „ცნობადი სახეები“ არიან, მედიის ყურადღება მათ მიმართ, თავისი მასშტაბებით, ბევრად არ ჩამოუვარდება მთავრობისა და პარლამენტის წევრთა მიმართ გამოჩენილ ყურადღებას. დღიდან დაარსე-

ბის მიერ ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილების ექსპერტიზის და კრიტიკული შეფასების შესახებ ბეჭდურ, ონლაინ თუ ელექტრონულ მედიაში რეპორტაჟებს ამზადებენ მეტწილად ის ყურნალისტები, რომლებმაც ამავე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარეს. მათი პუბლიკაციების კომენტარს და ამ კომენტარების მედია სივრცეში ტირაჟირებას აკეთებენ ექსპერტები, რომლებიც კიდევ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენენ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ „ენჯეოების“ ხელმძღვანელები მეტწილად „ცნობადი სახეები“ არიან, მედიის ყურადღება მათ მიმართ, თავისი მასშტაბებით, ბევრად არ ჩამოუვარდება მთავრობისა და პარლამენტის წევრთა მიმართ გამოჩენილ ყურადღებას. დღიდან დაარსე-

ბის მიერ ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილების ექსპერტიზის და კრიტიკული შეფასების შესახებ ბეჭდურ, ონლაინ თუ ელექტრონულ მედიაში რეპორტაჟებს ამზადებენ მეტწილად ის ყურნალისტები, რომლებმაც ამავე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარეს. მათი პუბლიკაციების კომენტარს და ამ კომენტარების მედია სივრცეში ტირაჟირებას აკეთებენ ექსპერტები, რომლებიც კიდევ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენენ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ „ენჯეოების“ ხელმძღვანელები მეტწილად „ცნობადი სახეები“ არიან, მედიის ყურადღება მათ მიმართ, თავისი მასშტაბებით, ბევრად არ ჩამოუვარდება მთავრობისა და პარლამენტის წევრთა მიმართ გამოჩენილ ყურადღებას. დღიდან დაარსე-

ფო პოლიტიკის ექსპერტიზის დარგში, უმეტესწილად სწორედ ისინი გამოდიან საერთაშორისო შეფასებების მნიშვნელოვან ინსტანციად. მათგან იღებენ ინფორმაციას უცხოეთის საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტები, სადაც მოცემულია ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკის შეფასება და რეკომენდაციები ამ პოლიტიკის კორექტირებაზე, დიდწილად, ეფუძნება უფრო გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციების მასალებს, რომლებიც უცხოელი დიპლომატების მიერ შეფასდება, როგორც მიუკერძოებელი და ობიექტური წყარო. ენმს მიერ შექმნილი ენჯეოები ხშირად ცდილობენ საკუთარი დღის წესრიგი და მიზნები განახორციელონ იმ ენჯეოების მეშვეობით, რომლებსაც საზოგადოებაში აქვთ დამოუკიდებელი არასამთავრობოების იმიჯი, ენჯეოს უფლებადაცვით საქმიანობას, მუშაობენ გარემოსდაცვით, სოციალურ და სხვა საკითხებზე, ებრძვიან კორუფციას და შესაბამისად გამოდიან ხელისუფლების ოპონენტებად. ენმ-ს მიერ შექმნილი ენჯეოები ფართოდ იყენებენ მოსახლეობაზე საინფორმაციო ზემოქმედების „ზანიპულაციურ მოდელს.“ ეს მოდელი აქტიურად მოთხოვნილია და გამოყენებულია ხელისუფლებასთან ოპონირების რეჟიმში მყოფი მედიის, რომლებიც არიან ენმ-თან აფილირებული ენჯეოების მოკავშირეები.

**ბიზნესი დამინერია და კიდევ გაიგეო-**რებ: საქართველოს ხელისუფლება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან მიმართებაში რატომღაც იმყოფება იმ ხვარაზმელი გლეხის პოზიციაში, რომელსაც მთვრალი მონგოლი მეომარი დაადაგა თავს და მისი მოკვლა გადაწყვიტა. მეომარმა უცებ აღმოაჩინა, რომ ხმალი არ ჰქონდა წამოღებული და გლახს უბრძანა, დალოდებოდა. მონგოლი ხმლის მოსატანად წავიდა – ის გლახი დაელოდა.

სამწუხაროდ, ნათლად ჩანს, რომ ხელი-სუფლება, ფაქტობრივად, ამ ე.წ. „არასამთავრობო სექტორის“ ამ ე.წ. „გაველენიანი არასამთავრობოების“ უაზრო მოთხოვნებს ემორჩილება. მოთხოვნებს, რომლებიც მხოლოდ შეფუთულია „დემოკრატიული პრინციპებით“ და ნამდვილ დემოკრატიასთან არაფერი საერთო არა აქვს.

საკმაოდ ნიჰილისტურია ნამდვილი საზოგადოების პოზიცია. უბრალოდ ვიტყვი, რომ მათ გააცნობიერეს ის, რომ ხელისუფლება ემორჩილება ამ გაურკვეველ კასტას. მთავრობას ყველა კომისიაში შეყვანილი ჰყავს ამ კასტის წარმომადგენლები, დიდი მოკრძალებით და რუფუნებით ეპყრობა მათ. მონღოლების მიერ დაპყრობილი ხვარაზმელი გლეხი ემორჩილება მათს ნებისმიერ მოთხოვნას და მუდმივ შიშში მათს წინაშე. დარწმუნებული ვარ, რომ არც მთავრობა კითხულობს მათს „ნანარობებს“ (სავარაუდოდ, არც სხვა რამეს, მაგრამ ამათ განსაკუთრებით. არც მთლად ეგრეც არიან, პესტიციდებიანი საკვები მიიღონ) და ჩამოყალიბდა აზრი, რომ ხელისუფლება ამ „ასობისა“ და „საზოგადოების წარმომადგენლებისგან“ ქმნის ე.წ. ბარიერს, რათა ხალხის კრიტიკა მოლიანად წავიდეს მათ წინააღმდეგ და რეალური პრობლემები (მით უმეტეს ამ ტიპებისგან გახშირებული) გაბიზრუდეს და ხალხმა ხელისუფლების დაცვა დაიწყოს.

არსებობს ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ხალხის და სახელწიფოს ინტერესები არის დემოკრატიული პრინციპების უმაღლესი გამოხატვა და ის უზუნაესი ნება, რაც ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს.

**ბიბა ბაბარიშიძე**



## პოროშენკო ზელენსკის გამონევა მიიღო

უპრინციპო ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში თავის კონკურენტს ვლადიმერ ზელენსკის დებატებზე დათანხმდა, ალასანიშნავი ამ ამბავში არის ის, რომ დებატები ზელენსკის შეთავაზების თანახმად კიევში, ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება, ამის შესახებ საუბარია პოროშენკოს მიმართებაში, რომელიც სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა, პოროშენკოს თქმით, იმისდა მიუხედავად რომ დება-

ტები შოუ არაა, ის ზელენსკის შეთავაზებას თანხმდება. „დებატების წესები განერილია პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონში, წაიკითხეთ ის გეტყვავს. ის შეიძლება ჩატარდეს საზოგადოებრივი ტელევიზიის ბაზაზე და მისი ჩვენება ათეულობით მილიონი ადამიანისთვის მოხდეს სხვადასხვა ტელეარხებით. ასეთია უკვე დადგენილი წესები. მაგრამ თუ სტადიონი, დაე, იყოს სტადიონი. გელოდებით ვლადიმერ ალექსანდრეს ძევ“, – განაცხადა პოროშენკომ.



რაგბი ჩვენი თაგაშია!

მარტყოფის გავლით

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ (18-წლამდელები) ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ბოლო, 5-დღიანი შეკრებაზე მარტყოფის ბაზაზე შევიდნენ, სადაც 7 აპრილამდე დარჩებიან.

მთავარ მწვრთნელ დავით ჩავლეიშვილის გადამწყვეტილებით, დასკვნით ოფისიდან 36 მორაგბეა, საიდანაც კალინინგრადში წამსვლელი 26 მოთამაშე ბოლო დღეს დასახელდება.

გუნდი რუსეთში 10 აპრილს გაემგზავრება და პირველ მატჩს 14 აპრილს გამართავს. მეოთხედფინალში ჩვენი მეტოქე გერმანიის ნაკრები იქნება და შეხვედრა თბილისის დროით 20:25 საათზე დაიწყება. სხვა მეოთხედფინალურ წყვილებში ესპანეთი ჰოლანდიას, პორტუგალია ბელგიას და რუსეთი რუმინულ კონფედერაციაში შეხვდება.



ნეტს ეთამაშება. ნახევარფინალები 17, ხოლო ფინალური მატჩები 20 აპრილს მოეწყობა.

უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ აქამდე სამი მოსამზადებელი ეტაპი გაიარეს, საიდანაც პირველი ორი უმეტესად ფიზიკურად დაეხმარა, ახლა კი ტაქტიკური სქემების დახვეწა მიმდინარეობს.

„გუნდი ნორმალურ ფიზიკურ კონდიციებშია და მარტყოფის ბაზაზე ყველა ვარჯიში ტაქტიკური მონახაზების, დეტალების დახვეწას ეთმობა. შეკრების პირველ დღეს სწორედ ამაზე ვისაუბრეთ და ჩრდილოეთში პრაგმატულ, გაშლილ რაგბის ავირჩევთ. სამწუხაროდ, მოსამზადებელ ეტაპზე უმეტესად ერთმანეთში გვიწევდა თამაში და ერთადერთი კარგი შეხვედრა 20-წლამდელთა ნაკრებთან გვექონდა. ტრავმების გამო 2-3 მორაგბე დაგვაკლდა, თუმცა, შევსვამთ არანაკლებ სრულფასოვანია“ – ამბობს ჩავლეიშვილი და ვარაუდობს, რომ ევროპის ჩემპიონატზე მთავარი მატჩი ნახევარფინალში მასპინძელ რუსეთთან იქნება:

„გერმანიას კარგი, ფიზიკურად უნაკლო ბიჭები ჰყავს. ვფიქრობთ, რომ მათთან კარგი სპარინგი გვექნება და ნახევარფინალში რუსეთთან მოგვიწევს შეხვედრა. ეს ფაქტობრივად ფინალის ტოლფასი ბრძოლა იქნება, რადგან პოტენციური მეტოქეები ამ მატჩის მოსაგებად მოედანსა თუ მის მიღმა ყველაფერს გააკეთებენ“.

შარშანდელთან შედარებით, ამჯერად 18-წლამდელთა ნაკრებში ბრგე ბიჭების ნაკლებობაა, მაგრამ მთავარ მწვრთნელს მათი პოტენციალის სწამს და ფორუმზე ოპონენტთა დამარცხებას ხელდახელი თამაშით გეგმავს. ევროპის ჩემპიონატის დასაწყისში გასვლამ უნდა გარკვეული გავლენა იქონია, თუმცა, ტიტული დასაცავია და ეს ჩვენს გუნდს მოტივაციის დაბრუნებაში ეხმარება.

„შერკინებაში რამდენიმე ლიდერი გვყავს, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატი შარშანდელს ითამაშეს. დანარჩენები მეტოქეობის ბიჭები არიან და კარგი, მობილური შერკინება გვეყოლება. საზოგადოებრივი სწრაფი ქაბულები გვყავს და მჯერა, თავიანთ საქმეს ისინიც კარგად გააკეთებენ“.

„თავისთავად, საფრანგეთის გასვლამ

ჩვენზე გარკვეულწილად იმოქმედა, თუმცა, ბიჭებს პირველივე დღიდან ვეუბნებით, რომ ეს გამოცდა კარგად უნდა ჩავაბაროთ და დავამტკიცოთ, რომ უძლიერესებთან თამაშს ვიმსახურებთ. კალინინგრადში ჩემპიონის რანგში ჩავდივართ, წოდება დასაცავია და ეს ჩვენი სტიმულია, რაზეც გუნდში არაერთხელ ვისაუბრეთ“.

ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს 18-წლამდელებს დათო აბდუშელიშვილი უკაპიტნებს, რომელიც გუნდში შარშანდელს იყო და ევროპის მოქმედი ჩემპიონია. ის ამბობს, რომ რუსეთში გუნდი საკუთარი ლელოს ხელუხლებლად შენახვას და ტიტულის ამ გზით შენარჩუნებას ეცდება:

„კარგი და ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გვექონდა. ამ დღეებში ტაქტიკურ მონახაზებს ვხვდებით და ტურნირს მაქსიმალურად ვამზადებთ“.

ლურ კონდიციებში შევხვდებით. თითოეულ პოზიციაზე დიდი კონკურენციაა, რამაც ჩვენი ხარისხი აამაღლა. ცუდია, საფრანგეთი ტურნირიდან რომ გავიდა, თუმცა, ჩრდილოეთში ვთამაშობთ და ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დოზინგია. მთავარ კონკურენტად მასპინძლებს მივიჩნევთ, რომლებსაც, სავარაუდოდ, ნახევარფინალში შეხვდებით. კარგი გუნდი ჰყავს პორტუგალიასაც, რომელიც მუდმივად პროგრესირებს.

ევროპის ჩემპიონატზე აქცენტს ხელით თამაშზე გავაკეთებთ, თუმცა, ძველებურად კარგად ვართ მომზადებული მოლსა და შერკინებაში. ჩვენი მიზანია, რომ სამივე შეხვედრა ისე მოვიგოთ, ლელო არ მივიღოთ და ტიტული ასე შევიწარმოოთ“.

შეკრებაზე არიან:

შერკინება – დათო აბდუშელიშვილი (ლელო), ლუკა პეტრიაშვილი (ხვამლი), ირაკლი მჭედლოძე (ლელო), ალექსანდრე ქუთელია (ლელო), ანტონ ცილიკური (ხვამლი), თაზო ვეველიშვილი (ხვამლი), ლუკა ჩქარული (ლელო), ლუკა მაჭარაშვილი (არმაზი), ლექსო ბურდული (ლელო), ბექა შვანგირაძე (აია), ნუგზარ სომხიშვილი (არმაზი), რობი ნერსეზაშვილი (ლელო), ლუკა ივანიშვილი (ნიქარა), თორნიკე ზაქარიაძე (ლელო), ტატო გვიმრაძე (ხვამლი), გიორგი ქობალია (ლელო), დათო ლომიძე (ხარები), საბა ხონელიძე (აია), გიორგი სინაურიძე (აია);


საზი – ლუკა მატკავა (არმაზი), ფრიდონ ნიკლაური (ხვამლი), კონსტანტინე იაშვილი (აკადემია), გივი ცინცაძე (არმაზი), გიორგი ყუფარაძე (ლოკომოტივი), ბესო თაყნიაშვილი (ხვამლი), ლუკა ხეხელაშვილი (ლელო), მათე კვირიკაშვილი (ესპეთაქ რაგბი, აშშ), ზაურ ლუტიძე (ხვამლი), ზურაბ მინდიაშვილი (აკადემია), ლევან ქუშაშვილი (ლელო), ლაშა გურგენიძე (ვეფხვები), ლაშა კაკაურიძე (ხვამლი), დათო ნინიაშვილი (ხვამლი), დაჩი პაპუნაშვილი (არმაზი), ლევან ბრატკავაძე (არმაზი), თემურ კობახიძე (აია).

მთავარი მწვრთნელი: დავით ჩავლეიშვილი

მწვრთნელები: მიხეილ სუჯაშვილი, ლევან შარვაშიძე.

მენეჯერი: პაატა მაისურაძე. კობა კობახიძე

ლეგიონერი



ზაზა ჯანაშვილი „დეტროიტ პისტონზმა“ ეროვნულ საკალაბურთო ასოციაციაში (NBA) მორიგი მარცხი განიცადა და პლეი-ოფში გასვლის შანსი გაირთულა.

ყოფნა-არყოფნა...

დეტროიტელებმა შინაურ კედლებში „ინდიანა პეისერზთან“ 89:108 წააგეს, ვეტერანმა ქართველმა ცენტრმა კი მოედანზე 5 წუთი გაატარა და აქტივში მხოლოდ 1 მოხსნა ჰქონდა.

ზაზამ ორქულიანი ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, ხოლო მისი მოედანზე ყოფნის პერიოდში „პისტონზმა“ მეტოქეზე 7 ქულით ნაკლები ჩააგდო.

მასპინძელთაგან საუკეთესო იანდრე დრამონდი (28 ქულა, 19 მოხსნა) და უეინ ველინგტონი (24 ქულა) იყვნენ, თუმცა, ტრავმირებული ბლეკ გრიფინის არყოფნაში მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს.

„პისტონზმა“ ბოლო 7 მატჩიდან 5 წააგო და ჯერაც გაურკვეველია, პლეი-ოფში გააღწევს თუ ვერა. ფაჩულიას გუნდი 39-39 მოგება-წაგებით მე-6 ადგილზეა, მაგრამ მე-9 პოზიციაზე მყოფ „მაიმის“ მხოლოდ 1 გამარჯვებით უსწრებს და შემდეგი შეხვედრა 6 აპრილს „ოკლაჰომა სითისთან“ ელის.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

„იუვენტუსის“ პორტუგალიელმა შემტევმა კრიშტიანუ რონალდუმ ტრავმა მოიშუშა და მზადაა „აიაქსთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ითამაშოს – წერს Marca.

გამოცემა აღნიშნავს, რომ მას სერია A-ს უახლოეს შეხვედრაშიც შეუძლია მონაწილეობა (6 აპრილს „მილანის“ წინააღმდეგ), მაგრამ, დიდი ალბათობით, რეციდივის თავიდან ასაცილებლად კლუბი მას გაუფრთხილდება.

34 წლის ვარსკვლავმა ტრავმა 25 მარტს პორტუგალია – სერბეთის (1:1) ევრო 2020-ის შესარჩევი მატჩისას მიიღო.

„აიაქსისა“ და „იუვენტუსის“ პირველი მეოთხედფინალური მატჩი 10 აპრილს გაიმართება ამსტერდამში, ხოლო საპასუხო – 16 აპრილს ტურინში.



ის საუკეთესოა მსოფლიოში. წარმატებას დანიელ ლევის გუძღვნიან („მამლების“ მფლობელია). დიდებულებს შეეხებოდა. ასევე უნდა გავგვრძელოთ და პრიზები მოვიპოვოთ. კლუბის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო.“ – უთხრა პოჩეტინომ Sky Sports-ს.

დავძენთ, რომ „ტოტენჰემი“ პრემიერლიგის ცხრილში მესამე ადგილზე დაბრუნდება.

ზაზაშვილის სატრანსფერო ფანჯრისას „მანჩესტერ იუნაიტედში“ დიდი ცვლილებები მოხდება – გვამცნობს BBC. კლუბი ერთაშად ექვსი ფეხბურთელის გაშვებას აპირებს.

ყველაზე სავარაუდო ესპანელების – ანდერ ერერასა და ხუან მატას წასვლაა, რომლებსაც კონტრაქტები უმთავრდება. მოსალოდნელია ალექსის სანჩესის სხვაგან გადაბარებაც. აქ პრობლემა ის არის, რომ ჩილელის ძალიან დიდმა ხელფასმა, შესაძლოა, პოტენციური მყიდველები დააფრთხოს.

ასევე საუბრობენ მეკრე დავიდ დე ხეას სავარაუდო ტრანსფერზეც. მანკუნიათა მწვრთნელ ოლე გუნარ სულშერს არ სურს ესპანელთან განშორება, მაგრამ დე ხეა ხელფასის მნიშვნელოვნად გაზრდას ითხოვს და ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვანელობას ვერ მოელაპარაკა.

წამსვლელთა სიაში კიდევ ორი ფეხბურთელია, რომელთა ვინაობაც ჯერ არ სახელდება.

ასეთი საზაფხულო წმენდა 2015 წლის შემდეგ პირველად მოხდება. ჰოლანდიელი სპეციალისტი ლუი ვან გაალი მაშინაც ექვს მოთამაშეს დაემშვიდობა.

გიორგი შოთაძე



# ძველი სასაფლაოები

## ნადგურდება!



საფლავების ქვები ძველი სასაფლაოებიდან, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია, ერთმანეთის მიყოლებით ნადგურდება. მათ უმეტესობას ძველი სტატუსი დღემდე არა აქვს.

მართლაც, ზოგს მეცხვარე კაცი ახატია კომპლით ხელში, ზოგს — ქალი, საქსოვით ან მაკრატლით... პატარა ქვის ქვეშ, სავარაუდოდ, ბავშვია დამარხული და წარწერები: „სიკვდილს არა ვფიქრობდი“, „მუხთაღმა წუთისოფელმან რა უდროოდ მიგო მახე“...

ჩვენ დავედით რეგიონებში და ვნახეთ მითრეულ სასაფლაოებს, რომლებიც ძალიან ღირებულა და, ამასთან, არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ზოგი დაზიანებულია, ზოგი — განადგურებული, ზოგი — მიწაში ჩაფლული ან გადაყრული, რადგან ეკლესიის ტერიტორია დასჭირდა და ქვები აიღო“, — ამბობს ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე ეკა კვაჭატიძე.

მისი თქმით, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა თბილისში.

ვერის სასაფლაოზე 100 წლის წინანდელი ქვები, რომლებიც ჯერ კიდევ 2000 წელს ადგილზე იყო, ახლა უკვე ვეღარ იპოვეს. ძველი საფლავების რაოდენობა შემცირებულია კუკის სასაფლაოზეც. რაც შეეხება რეგიონებს, აქ საფლავები ჯერ კიდევ არის, თუმცა მათი არსებობაც მხოლოდ დროის საკითხია.

„ვაპირებთ, ეს საკითხი ძველთა დაცვის სააგენტოში დავაყენოთ. თუ მთლიანად ვერ მოვიცავთ, რაღაც ნიშნით მაინც შემოვიფარგლოთ — ან ღირებულების, ან ეპოქის მიხედვით და იმას მივხედოთ“, — ამბობს ეკა კვაჭატიძე.

მწერალმა ამირან არაბულმა ძველ საფლავებზე 2008 წელს გამოსცა წიგნი „ალბომი“, შენდობით მომიხსენიეთ“. მისი თქმით, საფლავის ქვები მნიშვნელოვანია როგორც მხატვრული ღირებულებით, ასევე იმითაც, რომ ხშირად მისი მემკვიდრეობით ადგენენ საზღვარს სოფლებს შორის.

„რამდენიმე ქვა ნამდვილი ხელოვნების ნიმუში იყო, თავისი ბარელიეფებით და მხატვრობით. მაგრამ ამ ქვებზე ყველაფერი მოქმედებს — თოვლი, წვიმა — და ამიტომ

მაც არის საჩქარო ყველა მათგანის ფოტოგადაღება.

მხატვრობის პრიმიტიული ფორმები, მაგრამ თავისი ნაიჭურობით, დამოკიდებულებით ყოფნა-არყოფნის მიმართ ისეთი ნიმუშებია, ცალკე წინადადებად გამოშვებაც შეიძლება“, — ამბობს ამირან არაბული.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ანთიძე ამბობს, რომ საქართველოში სასაფლაოების აღწერა არ ჩატარებულა და, შესაბამისად, მათი სრული რაოდენობა ცნობილი არ არის. ძველი სტატუსი მხოლოდ 10-15 სასაფლაოს თუ აქვს. ანთიძის თქმით, სასაფლაოების აღსანიშნავად სააგენტოს ამჯერად არც დრო აქვს და არც რესურსი.

„ამიტომ ჩვენ ასე დამოუკიდებლად სასაფლაოებზე ვერ ვიმუშავებთ, მთელი საქართველოს მასშტაბით სასაფლაოების ინვენტარიზაციას ვერ ჩავატარებთ. ინიციატივა უნდა გამოიჩინოს ვინმე და მერე ჩვენ ჩავალთ, გადავამოწმებთ და მივანიჭებთ ძველის სტატუსს“, — ამბობს ნიკა ანთიძე.

მისი თქმით, ინიციატორი შესაძლოა იყოს კერძო პირი, მოქალაქეთა ჯგუფი, ადგილობრივი ხელისუფლება ან არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მიუთითებს, თუ სად არის ესა თუ ის სასაფლაო, რის შემდეგაც სააგენტო უკვე ადგილზე შეისწავლის და გადაწყვეტს, მიანიჭოს თუ არა მას ძველის სტატუსი.

„თავისუფლება“

# განცხადება

2019 წლის 27 აპრილს დღის 11 საათზე გაიმართება ჩოხატაურის საექციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. ს.ს. „ტრანსპორტელის“ 2018 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები და წლიური ბალანსის განხილვა.
  2. განცხადებების განხილვა.
  3. სხვადასხვა.
- მისამართი: ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა №51.  
ჩოხატაურის ს.ს. „ტრანსპორტელის“  
დირექტორი დ. კეკელიძე.

# სალაპარაკო მებრული ენის კურსები

შეზავსწავლით სალაპარაკო მებრულს. მსმენელთან მუშაობა წარიმართება თავისუფალი მეტყველების უნარების ჩამოსაყალიბებლად, იგი შეძლებს თავისუფლად საუბარს, აითვისებს სალაპარაკო მებრულის ძირითად საფუძვლებს, თავისებურებებს ქართულ ენასთან მიმართებაში, მოხდება მეტყველების დახვეწა და ლექსიკის კიდევ უფრო გამდიდრება.

კურსის ხანგრძლივობა ორი თვეა.

სწავლება ჩატარდება კვირაში ორჯერ: სამშაბათს და ხუთშაბათს — 17-დან 19 საათამდე.

სწავლება დაიწყება 2019 წლის 8 აპრილს. სრული კურსის საფასური 60 ლარი. 16 წლამდე ახალგაზრდებისთვის კურსები უფასოა.

კურსს გაუძღვება პროფესიონალი პედაგოგი.

მსმენელთა რაოდენობა შეზღუდულია.

მისამართი: თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №42.

საკონტაქტო ნომერი: +(995)2 77 95 04;  
2 77 95 38.

# რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ჩიშოპაპას ქ. №42/5. 599 79-76-79; 568 82-09-84

დღეისთვის, სამყარო საკმაოდ ერთფეროვანი და მშვიდი ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ სივრცე-დროში სწრაფი ზრდის ნაკადი კარგად უნდა ხსნიდეს ყველაფერს, რასაც ვხედავთ, მეცნიერებას მაინც სჭირდება რაღაც მეტი. სჭირდება მტკიცებულებები, რომლებიც თანდათან შეამცირებს საორბიტო არგუმენტებს. როგორც ჩანს, ამ მხრივ გარკვეული წინსვლა უკვე არის.

ჰარვარდ-სმიტსონის ასტროფიზიკის ცენტრისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ფიზიკოსების ჯგუფმა ადრეული სამყაროს ევოლუციის კვლევა გააანალიზა, რათა შეემოწმებინა კოსმოლოგიური ინფლაციის მოდელები.

ასტროფიზიკის თეორეტიკის ავილოების განცხადებით, ამჟამინდელი სიტუაცია ისეთია, რომ ამ მოდელთა ექსპერიმენტულად შემოწმება შეუძლებელია; ყოველთვის რჩება ინფლაციის გარკვეული მოდელები, რომელთა ახსნაც ვერ ხერხდება.


დიდი ხანია, გადაჭრით ვიცით, რომ ჩვენი სამყარო ფართოვდება — მისი შემადგენელი მატერია თანდათან ფართოვდება რაღაც იდუმალი ბნელი ენერჯის გავლენით.

თუკი სამყაროს უკან, იმ დრომდე გადავხედავთ, როცა მისი ასაკი დაახლოებით 10-43 წამი იყო, მივალთ იმ ზღვრამდე, რაც ფიზიკის ჩვენთვის ცოდნას შეუძლია. მაგრამ რა ხდება ამ მომენტამდე? გეომეტრია აქ უძლურია და უბრალოდ, არ ვიცით, საიდან დავიწყეთ.

გამოთვლების წყალობით ასევე დაგინდა, რომ ამ საკვანძო მომენტში სამყაროს რადიუსი 10<sup>-10</sup> მეტრი უნდა ყოფილიყო. ზომა პატარაა, მაგრამ არც ისე. სამყაროს პირველი მომენტების სინათლის ექო დღემდე ხილულია კოსმოსური მიკროტალღური ფონის სახით. უცნაურია, რომ ეს ფონური რადიაცია დღეს საკმაოდ ერთფეროვნად გამოიყურება.

თერმოდინამიკა ასეთ დაკვირვებებს საკმაოდ ართულებს. ასეთი ერთფეროვნება იმას ნიშნავს, რომ რადიაცია სამყაროს ერთი კიდიდან მეორისკენ მიჰქროდა და რყევების ტემპერატურას აბალანსებდა. სამყარო იმდენად

# რა ხდება როდესაც დიდ აფეთქებად?



სწრაფად ფართოვდებოდა, რომ სინათლეც ვერ ეწეოდა.

იმისათვის, რათა ასეთი დაბალანსება დისტანციურად შესაძლებელი ყოფილიყო, ახლად დაბადებული სამყაროს რადიუსი ამ კრიტიკულ მომენტში მაგნიტუდებით პატარა უნდა ყოფილიყო. ასეთი წარმოუდგენლად ციციკნა სამყაროს გაფართოების მაჩვენებელი ადრეულ ასაკში განსაკუთრებით მაღალი უნდა ყოფილიყო და ქვიშის მარცვლის ზომისთვის წამის მეთათათასელებში მივლნა.

ეს ამბავი კარგად ემთხვევა დაკვირვებებს, მაგრამ არსებობს ზოგიერთი თეორიები, რომელთა მიხედვითაც, სამყარო ასე სწრაფად არ ფართოვდებოდა.

ჰარვარდის ფიზიკოსის ჟონგ-ჟი სი-

ანუის განცხადებით, ზოგიერთი ალტერნატიული თეორიის მიხედვით, სამყაროს ზომა სხვანაირია. ზოგი თეორია გაფართოების ძალიან დაბალ მაჩვენებელს ასახელებს, ზოგი კი პირიქით, ძალიან მაღალს.

არსებობდა თუ არა დრო დიდ აფეთქებამდე? არსებობდა თუ არა გარკვეული უკუქცევადი სამყარო? თეორიის წამოყენება ყველა მეცნიერს შეუძლია, მაგრამ საბოლოოდ, გამარჯვებული მხოლოდ ერთი რჩება.

ყველაზე შესაფერის თეორიათა შესარჩევად, მკვლევართა აზრით, უნდა გამოვიყენოთ დაკვირვებადი მახასიათებლები, რომლებიც შეგვიძლია დავაკავშიროთ ინფლაციაზე დაფუძნებულ მოდელთა მახასიათებლებთან.

მთავარი გამოწვევა ის არის, როგორ მოვახდინოთ ასეთ დაკვირვებათა ინტერპრეტაცია მოვლენათა თანმიმდევრობად. შესაფერის ნაბიჯთა გადასადგმელად, საჭიროა გარკვეული სახის სტანდარტიზებული კოსმოსური დროის შტამპი, დაახლოებით ისეთი, რომელიც პოტენციურად საერთოდაც გამოირიცხავდა ინფლაციას.

მკვლევარ სინგანგ ჩენის განცხადებით, თუკი წარმოვიდგენთ, რომ დიდ აფეთქებამდე განვიტარებულ მოვლენათა შესახებ ჩვენ მიერ შეგროვებული ყველა ინფორმაცია ლენტთან ფირებშია თავმოყრილი, შემდეგ ჩვეულებრივი საათი გვეტყვის, როგორ დაუკრათ ეს ფირები.

ჯგუფი გვთავაზობს მექანიზმს, რომლითაც კვანტურ რყევებს შეუძლია, მიუთითოს მოვლენათა იმ თანმიმდევრობაზე, რომლებიც ასახულია გრძელ კოსმოსურ სტრუქტურათა მახასიათებლებში.

ჩენის თქმით, ერთ ასეთი ადგილია კოსმოსური მიკროტალღური ფონი, მეორე კი გალაქტიკათა გადახანჩლება. მისი განცხადებით, ამ სიგნალთა ძებნა მათ უკვე დაიწყეს და გარკვეულწილად საინტერესო კანდიდატები უკვე გამოიკვეთა კიდევ, თუმცა, საჭიროა მეტი მონაცემები.

სხვა კოსმოლოგთა აზრით, სამყაროს წარსულის დამალული ნაწილის ნიშნები ცაში კოსმოსში არსებული სინათლისა და მატერიის მორევებში უნდა ვეძებოთ.


ზოგიერთი მეცნიერი საუბრობს შესაძლო „ნაიარევებზე“, რომლებიც წინა სამყაროს შავ ხვრელებს უნდა დაეტოვებინა კოსმოსურ მიკროტალღურ ფონში. ზოგიერთი პროგნოზირებს იმასაც, რომ ვიპოვებთ ნიშნებს, რომლებიც დაამტკიცებს, რომ დიდი აფეთქება არც არასოდეს მომხდარა.

სამყაროს ევოლუციის შესახებ მრავალი საინტერესო მოსაზრება არსებობს, მაგრამ საჭიროა კვლევები, რათა საბოლოოდ დადგინდეს, რომელი მათგანია მართებული.

მიმზადებულია Cfa.harvard.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

ნკველიკა

აბრესიას, სიკულისკვილს აკვირებს!




ფსიქიატრიაში აღმოაჩინეს დაავადება: ავადმყოფი გამუდმებით იმეორებს ერთი და იგივე პიროვნების გვარს უარყოფით კონტექსტში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ნაცუბის მიერ ივანიშვილის ახირებულად ხსენება. ფსიქიატრების აზრით, საქმე გვაქვს ბოლმით, ლვარძლით გამოწვეულ მძიმე ფსიქიკურ აშლილობასთან, რომელიც არ ექვემდებარება განკურნებას.

ასლა მორე დაავადებაზე: ძნელია, ინგა გრიგოლას უწოდო ჟურნალისტი, რადგან ამ პროფესიის ადამიანი, პირველ რიგში, განათლებული, ობიექტური, კეთილგანწყობილი უნდა იყოს, ეს ქალბატონი კი დაკითხვის ფორმით, უნიჭო კომენტარებით, საოცრად ავი გამომეტყველებით, გაუთავებელი უესტიკულაციით აღვივებს აგრესიას, სიძულვილს, პროვინციალიზმს.

აღმაშფოთებული იყო მისი ინტერვიუ პრეზიდენტთან... განსაკუთრებით ქუჩის უარგონით დასმული მისი უაზრო შეკითხვა: „ის ქურქი რა იყო? ასეთი რამ მოსულა?“

როდემდე უნდა აყენებდეს შეურაცხყოფას ჩვენს გონიერ საზოგადოებას, ძვირფასი ინგა?!

ლონდა მდივანი



კოპოლა ოსნების ფილმს გადაიღებს

ამერიკელი რეჟისორი ფრენსის ფორდ კოპოლა ახალი ფილმის „მეგალო-პოლისის“ გადაღებას გეგმავს, რომელიც თავისი მასშტაბებით ფილმის „აპოკალიფსი ახლა“ შესაბამისი იქნება.

აღნიშნულია, რომ კოპოლას ამ ფილმის სცენარი უკვე მზად აქვს. ამის გარდა, მან არაოფიციალური მოლაპარაკებები დაიწყო მთავარი როლების შემსრულებლებთანაც. ერთ-ერთი მათგანი, შესაძლოა, მსახიობი ჯუდ ლოუ იყოს.

არსებული ინფორმაციით, რეჟისორი დიდი ხანია, ოცნებობდა ამ პროექტის განხორციელებაზე. კინოსურათი უტოპიური იქნება, მოქმედება კი ნიუ-იორკში განვითარდება.

ამჯერად - კინოში

ამერიკული HBO-ს დოკუმენტური სერიალი „იყო სერენა“ (Being Serena), რომელიც ჩოგბურთელ სერენა უილიამსზეა, Sports Emmy Awards-ის სამი ნომინაციის პრემიაზე აცხადებს პრეტენზიას: საუკეთესო სპორტული დოკუმენტური ფილმი, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება და საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი - გვამცნობს Tennis Panorama.

ფილმი 5 სერიისგან შედგება და ეხება როგორც ჩოგბურთელის კარიერას, ასევე მის პირად ცხოვრებას. მყურებელი სერენას იხილავს ქორნილისა და ფეხმძიმობის დღეებში. ასევე კორტზე მის დაბრუნებას მშობიარობის შემდეგ.

რეჟისორები ამტკიცებენ, რომ მყურებელი საკუთარ კერპთან ერთად შეიგრძნობს იმ სამყაროს, რომელშიც ჩოგბურთელი ცხოვრობს.

პრემიერა 2 მაისსა დაგეგმილი.

ბაჰან დოლიძე



პატარა ბიჭუნა ნინილას გადასარჩენად მთელი ღანაოები დასარჯა

სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოები, რომელზეც პატარა ინდოელი ბიჭუნა ასახული. მას ერთ ხელში ნინილა, მეორეში კი ფული უჭირავს და სახე საკმაოდ შეწუხებული გამომეტყველებით აქვს დაფარული.



როგორც აღმოჩნდა, ბავშვმა მეზობლის ნინილას შემთხვევით ველოსიპედით გადაუარა, შემდეგ აიყვანა, შინ შეიყვანა და მშობლებს დასმარება სთხოვა, მის გადასარჩენად კი საკუთარი ფულადი დანაზოგი არც კი დაიშურა.

ნინილას გადასარჩენად სავარაუდოდ, ვეტერინარებმა იზრუნეს. კეთილი ბავშვი კი ახალ ამბებს შინ მშობლებთან ერთად ელოდება.

მოზამბიკში ქალმა მანგოს ხეზე იმშობიარა



მოზამბიკში ციკლონ „იდაის“ მიერ გამოწვეული წყალდიდობის გამო ქალმა მანგოს ხეზე იმშობიარა. ამის შესახებ BBC იუწყება.

ამელიამ გოგონა გააჩინა. მშობიარობის დროს ის მანგოს ხის ტოტებზე იჯდა და ხელში თავისი ორი წლის ბიჭი ეჭირა. მშობიარობიდან ორი დღის შემდეგ ამელია და მისი შვილები მეზობლებმა გადაარჩინეს.

ამჟამად ისინი დროებით თავშესაფარში იმყოფებიან. დედაც და შვილებიც თავს კარგად გრძნობენ.

მოზამბიკს ციკლონმა მარტის ბოლოს გადაურა. დაიღუპა 200-ზე მეტი ადამიანი, ხოლო 100 ათასზე მეტი ადამიანს გადაუდებელი დახმარება დასჭირდა.

პრინცი ჰარი და მეგან მარკლი ბინესის რეკორდების ნიშნში მოხვდნენ

ორი დღის წინათ პრინცმა ჰარიმ და მისმა ორსულმა მეუღლემ მეგან მარკლმა Instagram-ის საერთო გვერდი შექმნეს.



აღნიშნულს გინესის მსოფლიო რეკორდების ოფიციალური გვერდი ეხმაურება განცხადებით, სადაც ნათქვამია, რომ სასექსის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ 6 საათზე ნაკლებ დროში მილიონზე მეტი გამომწერი დააგროვეს, რაც მსოფლიოს ყოველგვარ რეკორდს ხსნის.

ჰარიმ და მეგანმა ორი დღის წინ შექმნილ ოფიციალურ ექაუნთზე ცხრა ფოტო განათავსეს, რომლებზეც მათი ოფიციალური ვიზიტები ასახული. აღნიშნული მოვლენა, მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად გავრცელდა და საზოგადოებამაც არ დააყოვნა. როგორც აღმოჩნდა წყვილი მსოფლიოს მასშტაბით დიდი პოპულარობით სარგებლობს, შეძლებს თუ არა ვინმე მათი რეკორდის მოხსნას ალბათ ამაზე საუბარი რთული იქნება.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ! მოგმართავთ გაზეთის მფრველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA. ბ. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5 ტელ: 296-72-86. მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიასვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24. გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79. შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი. იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20. uac(უაკ)070.4(479.22) ს-323. ISSN 2233-3851. ავტორთა საზურაღდებოდ! რედაქციის მიერ შუამდგომლობის განხილვის დანიშნულებით ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შეხატობა, მუდამ არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ზენი გაზეთია, აუსილავლად გამოიწერა, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

Table with subscription information: უსსოვრი ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.6904; ევრო - 3.0256; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.5454; 100 რუბლი - 4.1231; თურქული ლირა - 0.4781; აზერბაიჯანული მანათი - 1.5825; 1000 სომხური დრამი - 5.5244. აპრილი 5 აპრილისთვის: ავტოსაავტოო საპარტიკო: ბარა - ლაპი +3, ლაპი +21; მთიანი რაიონები - ლაპი 0, ლაპი +19; დასავლეთი საპარტიკო: ბარა - ლაპი +3, ლაპი +21; მთიანი რაიონები - ლაპი 0, ლაპი +19; თბილისი: ლაპი +8, ლაპი +19. დაავიკავით, მოგმართავთ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84. ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge